

Bund für
Umwelt und
Naturschutz
Deutschland




FRIENDS OF THE EARTH GERMANY



სახელმძღვანელო კლიმატის ცვლილების განათლება საქართველოში

ნაწილი I




„BUND - დედამიწის მეგობრები გერმანია“

„BUND - დედამიწის მეგობრები გერმანია“ არის ერთ-ერთი უმსხვილესი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია გერმანიაში და დედამიწის მეგობრების საერთაშორისო ქსელის წევრი. ორგანიზაცია დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული გაერთიანებაა, რომელშიც, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 2000-ზე მეტ მოხალისეთა ჯგუფს აერთიანებს. ისინი მუშაობენ სხვადასხვა თემატურ მიმართულებებზე, მათ შორისაა, კლიმატ-სამართლიანობა, მდგრადი სოფლის მეურნეობა, ენერჯის ტრანზიცია, წყლისა და ტყის დაცვა და ბიომრავალფეროვნება. BUNDjugend (ახალგაზრდა დედამიწის მეგობრები გერმანია) არის დამოუკიდებელი ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელშიც 27 წლამდე მოხალისეები არიან გაწევრიანებული. როგორც ახალგაზრდების მიერ მართული ქსელი, ისინი შემოქმედებითი მიდგომებითა და პროექტებით იბრძვიან ყველასთვის უფრო მდგრადი და სამართლიანი მომავლისთვის. დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდებზე: www.bund.net, www.bundjugend.de



ქლაიმათ ბეიზიქსი

ა(ა)იპ „ქლაიმათ ბეიზიქსი“ (Climate Basics) არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 2020 წელს, თბილისში დაარსდა. ორგანიზაცია, ძირითადად, მოხალისეობრივ საფუძველზე მუშაობს და კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, სამართლისა და ანალიზის მიმართულებით, სხვადასხვა აქტივობას ახორციელებს. მიუხედავად იმისა, რომ „ქლაიმათ ბეიზიქსი“ ცოტა ხნის წინ შეიქმნა, მის გუნდს კლიმატის პოლიტიკისა და განვითარების სფეროში, პროექტის მენეჯმენტისა და კვლევის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორცაა კვლევა, კლიმატის ცვლილების მიმართულებით განათლებისა და ინფორმაციის პლატფორმის - www.climatebasics.info - მართვა. ასევე, საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, კონსულტაცია და თანამშრომლობა ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია აღნიშნულ ვებგვერდზე.



აღნიშნული სახელმძღვანელო არის ქართულ და ინგლისურ ენებზე და ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: www.climatebasics.info



სახელმძღვანელო მომზადებულია „ქლაიმათ ბეიზიქსის“ და BUND - დედამიწის მეგობრები გერმანიის მიერ, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.

სარჩევი

4

შესავალი

6

საგანმანათლებლო მიდგომა

11

დისკრიმინაციისადმი მგრძობიარე განათლება

13

როგორ მოვიქცეთ რთულ სიტუაციებში

16

დამატებითი ლიტერატურა და წყაროები

17

რა უნდა გავითვალისწინოთ - ფსიქოლოგია და კომუნიკაცია

20

როგორ მოვაგვადოთ კლიმატის განათლების შესვადრა

23

კლიმატის განათლების შესვადრის სტრუქტურა

24

კლიმატის შესვადრისთვის მნიშვნელოვანი ელემენტების სია

25

კლიმატის განათლების მეთოდები

კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზები..... 26

კლიმატის ცვლილების შედეგები გლობალურ დონეზე..... 28

კლიმატის ცვლილების შედეგები საქართველოში 31

ფიქრები და განცდები კლიმატის ცვლილებაზე 34

მოქმედება კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ - აქტივიზმი..... 35

კლიმატის ცვლილების შერბილება - მიმოსხილვა..... 38

შექმენით კლიმატინოვაციები..... 41

კლიმატის ადვოკატირება..... 44

47

ოთხი იდეა პრაქტიკული პროექტებისთვის ადგილზე შესასრულებლად

51

ენერჯაიზარები

54

განრიგის ნიმუშები

60

ლექსიკონი

61

ფაქტები: კლიმატის ცვლილების შედეგები გლობალურ და ეროვნულ დონეზე



გენკალი

კლიმატის ცვლილება ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა, რომლის წინაშეც მთელი კაცობრიობა დგას. მისი გავლენა უკვე იგრძნობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, როგორც ეკოსისტემაზე, ისე, ადამიანებზე.

პარიზის შეთანხმება ისტორიული საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებაა, რომელიც 2015 წელს, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (United Nations Framework Convention on Climate Change/UNFCCC) მხარეთა 21-ე კონფერენციამ (Conference of the Parties/COP) მიიღო და ამჟამად 194 წევრი ჰყავს. შეთანხმება ადგენს ტემპერატურულ მიზანს კლიმატის ცვლილების ყველაზე საშიში შედეგების თავიდან ასაცილებლად, რაც გულისხმობს, პრეინდუსტრიული დონიდან ამ საუკუნის ბოლომდე, გლობალური დათბობის 2°C-მდე შეზღუდვასა და 1.5°C-მდე შეზღუდვის მცდელობას. თუმცა, მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ ტემპერატურის 2°C-იანი მატებაც, შესაძლოა, კლიმატის ცვლილების მხრივ, მძიმე შედეგის მომტანი გახდეს და ამიტომ, აუცილებლად მიიჩნევენ, რომ მსოფლიოს ძალისხმევა მიმართული იყოს ტემპერატურის 1.5°C-მდე შენარჩუნებისკენ. საგანგაშოა კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის (Intergovernmental Panel on Climate Change/IPCC) უახლესი ანგარიშები. მეცნიერთა აზრით, უკიდურესად ვიწროვდება იმ შესაძლებლობების ფანჯარა, რომელიც 1.5°C-მდე დათბობის შეზღუდვისთვისაა ხელსაყრელი. მტკიცედ გაისმის მოწოდებები საერთაშორისო საზოგადოების მიმართ, რომ გადაიდგას გადაუდებელი, კოორდინირებული და დაჩქარებული ნაბიჯები კლიმატის ცვლილების საპასუხოდ და დასახული გლობალური სამიზნე მაჩვენებლის შესასრულებლად.

პარიზის შეთანხმების ტემპერატურული მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება, თუ გლობალური სათბურის აირების ემისიები* (გაფრქვევები) მაქსიმუმს 2025 წლისთვის მიაღწევს, 2030 წლისთვის კი, მეოთხედით შემცირდება (IPCC, 2022). გარდა ამისა, გლობალური ტემპერატურა მაშინ დასტაბილიზდება, როდესაც ჯამი სათბურის აირების ემისიების და მათი ბუნებრივად შთანთქმას შორის, ნულს გაუტოლდება. ამას ნულოვანი ემისიები ჰქვია. 1.5°C ტემპერატურული მიზნისთვის, ეს ნიშნავს გლობალურ დონეზე ნახშირორჟანგის ნულოვანი ემისიის მიღწევას 2050-იანი წლების დასაწყისში, ხოლო 2°C მიზნისთვის - 2070-იანი წლების დასაწყისში (IPCC, 2018). ინოვაციები, ისევე, როგორც პოლიტიკური და სოციალური ცვლილებები, გადამწყვეტ როლს შეასრულებს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მოქმედების დაჩქარებაში და ნულოვანი ემისიების მიღწევაში. უნდა აღინიშნოს, რომ გლობალურად სათბურის აირების ემისიები კვლავ იზრდება და კლიმატის ცვლილების სამომავლო გავლენა მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, მივიღებთ თუ არა, ან რამდენად სწრაფად და როგორ ზომებს მივიღებთ კლიმატის ცვლილების საპასუხოდ.

კლიმატის შესახებ განათლება მთავარ როლს ასრულებს ზემოთ აღნიშნულ პროცესებში. კლიმატის ცვლილების საკითხების ჩართვა საშუალო განათლების ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პროგრამებში და კლიმატის ცვლილებაზე ორიენტირებული კურსების შემოტანა უმაღლეს განათლებაში, მდგრადი და მედეგი აწმყოსა და მომავლის შექმნას შეუწყობს ხელს. ეს შთააგონებს სტუდენტების სხვადასხვა მოქმედებასა და კარიერულ არჩევანს, ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებულობას, ურთიერთგაგებას, და წაახალისებს ინოვაციური აზროვნებისა და მიდგომების დანერგვას.

ამჟამად, საქართველოს სკოლებში, კლიმატის ცვლილების საკითხები, მხოლოდ მოკლედ და მიმოხილული გეოგრაფიის სასწავლო პროგრამაში, როგორც მოვლენა, ხოლო სამოქალაქო განათლებაში, მდგრადი განვითარების თემატიკის ქოლგის ქვეშ. კლიმატის ცვლილების მიმართულებით განათლებისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს, უმეტესად, მცირე დრო ეთმობა და არაფორმალური ხასიათისაა, რადგან ისინი, როგორც წესი, სხვადასხვა პროექტების ფარგლებში ტარდება. შესაბამისად, ჯერ კიდევ შორს ვართ სასურველ შედეგამდე, რომ არსებობდეს სავალდებულო, უწყვეტი, ინტეგრირებული და კოორდინირებული კლიმატის განათლება განათლების სხვადასხვა საფეხურზე.

ეს სახელმძღვანელო მომზადდა პროექტის - „ახალგაზრდები კლიმატინოვაციური იდეებისთვის“ ფარგლებში, რომელსაც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის¹ ფინანსური მხარდაჭერით, „ქლაიმათ ბეიზიქს“ და „BUND - დედამიწის მეგობრები გერმანია“, ერთობლივად ახორციელებენ. პროექტის მიზანია საქართველოში არსებულ რეალობას მოარგოს და კვლავ განავითაროს BUNDjugend-ის პროექტ „კლიმატის კლასის“ (2019-2022) მეთოდები და გამოცდილება.

მართალია, წინამდებარე სახელმძღვანელო არ არის ამომწურავი, თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ შეძლებს გახდეს იმ ახალგაზრდებისა და მასწავლებლების დამხმარე საშუალება, რომლებიც დაინტერესებული არიან კლიმატის ცვლილების საფუძვლები თანამედროვე, ინკლუზიური და ინტერაქტიული გზით ასწავლონ. სახელმძღვანელოს მიზანია, ხელმისაწვდომი გახადოს არაფორმალური სწავლების მეთოდები და ამით წაახალისოს ახალგაზრდები, აქტიურად ჩაერთონ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში. ეს არის პირველი ნაწილი, იგეგმება თემების და მეთოდების გამრავალფეროვნება და სხვა ნაწილების გამოშვებაც.

სახელმძღვანელო, დანართების სახით, მოიცავს განმარტებებს, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ ფაქტებსა და ჯგუფებთან მუშაობის ნიმუშებს. *მოცემული სიტყვების განმარტება იხილეთ დანართში.



1 “Expanding Cooperation with Civil Society in the Eastern Partnership Countries and Russia” (Eastern Partnership Programme).

საგანმანათლებლო მიღგომა

გინდა, კლიმატის ცვლილების შესახებ შენი ცოდნა სხვასაც გაუზიარო? სხვა ადამიანებს მოქმედება შთააგონო? სახელმძღვანელოს ამ ნაწილში, გაეცნობი რამდენიმე მეთოდს, რომელიც კლიმატის ცვლილებაზე ორიენტირებული ეფექტური სასწავლო თუ არაფორმალური შეხვედრების ჩასატარებლად, იდეებს შემოგთავაზებს.

გქონდეს ცნობისმოყვარე და გახსნილი გონება

კლიმატის ცვლილება ყველას გვაწუხებს. ბევრ თქვენგანს, ამის შესახებ, ალბათ, უკვე სმენია კიდევ. ზოგი, შესაძლოა, ამომწურავადაც ფლობდეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას. თუმცა, მაინც შეუძლებელია, ზუსტად ვიცნობდეთ პრობლემის გადაჭრის ყველა სავარაუდო გზას და არც თითოეული ადამიანის განსხვავებული საჭიროების გათვალისწინება უნდა დაგვავიწყდეს. როგორ უნდა გავუმკლავდეთ კლიმატის ცვლილებას - მსოფლიოსთვის მთავარ პოლიტიკურ და სოციალურ კითხვად რჩება. სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად და იმისთვის, რომ ამ პროცესში არავინ ჩამოვიტოვოთ უკან, აუცილებელია, საკითხის ნაყოფიერად განხილვაში, რაც შეიძლება, მეტმა ადამიანმა მიიღოს მონაწილეობა.

გახსნილი და ცნობისმოყვარე დამოკიდებულება, საშუალებას მოგცემს, გაგებითა და ყურადღებით მოუსმინო შეხვედრის თითოეულ მონაწილეს. შედეგად, ისინიც მეტ მზაობას გამოიჩინენ. ამგვარად, შეგეძლება აზრების მიმოცვლა იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამთ კლიმატის ცვლილების ირგვლივ არსებულ პრობლემებს და რას ფიქრობთ, რომ უნდა გაკეთდეს მათთან გასამკლავებლად.

მზად იყავი ძლიერი ემოციებისთვის

კლიმატის ცვლილების საკითხმა, შეიძლება, ძლიერი და მძიმე ემოციები გამოიწვიოს. მაგალითად, როგორიცაა შიში, ბრაზი, სევდა, დაბნეულობა, მიუღებლობა ან დანაშაულის განცდა. მნიშვნელოვანია, რომ შეხვედრის მონაწილეებმა იგრძნონ, რომ მათი გესმის და მათ წუხილს ადეკვატურად აღიქვამ.

თუ საკმარისი დრო გექნებათ, შეგიძლია, შეხვედრის მონაწილეებს შესთავაზო, სხვებსაც გაუზიარონ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული წუხილი ან/და პირადი გამოცდილება. ამით საკუთარი ემოციების გამოხატვის საშუალება მიეცემათ და იმასაც დაინახავენ, რომ მართო არ არიან.



აამაღლე თავდაჯერებულობა

როგორ ფიქრობ, დაიწყებდი ისეთი საქმის კეთებას, რომელსაც ფიქრობ, რომ ბოლომდე მაინც ვერ დაასრულებ? მოჭკიდებდი ხელს ისეთ საქმეს, რომელიც, თავიდანვე გჯერა, რომ არავითარ შედეგს არ გამოიღებს? ალბათ, უმეტესობა ასე არ მოიქცეოდა. მოტივაციისთვის, აუცილებელია გვჯეროდეს, რომ საქმეს, რომელსაც წამოვიწყებთ, სასურველი შედეგის მოტანა შეუძლია.

მნიშვნელოვანია, შეხვედრის მონაწილეების მოტივაციის ამაღლება შეძლო, რათა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმის სურვილი გაუჩნდეთ. ამისთვის, აუცილებელია მათი თავდაჯერებულობის ამაღლება. მაგალითად, შეგიძლია დაანახო, თუ რა შესაძლებლობები არსებობს მათ გარშემო და რა გავლენა შეიძლება იქონიოს მათმა თითოეულმა ნაბიჯმა კლიმატზე და, ზოგადად, მსოფლიოზე. წახალისებისთვის, კარგი იქნება, თუ თავად მიიღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას კლიმატისთვის ერთობლივი იდეების განხორციელებით. ამ გზით, დაინახავენ, რომ, სწორედ, მათ ძალუძთ გახდნენ იმ ცვლილების ნაწილი, რომელსაც მთელი მსოფლიო ელის.

ალიარე ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნების არსებობა

ბებიას დაბადების დღეზე სტუმრობა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მეგობრებმა პიკნიკზე დროის გასატარებლად დაგპატიჟეს, შენ კი ორივეგან გინდა წასვლა. როგორ მოიქცევი? ეს მიზნებს შორის კონფლიქტის კლასიკური მაგალითია. გინდა, ბებიას აგრძნობინო, თუ როგორ ძალიან გიყვარს და სტუმრობით გაახარო, თუმცა, ზაფხულის ცხელ დღეს, მდინარის პირას გაგრილებაც კარგი იქნებოდა. როდესაც საქმე კლიმატის შერბილებას* ეხება, სხვადასხვა მიზნებს შორის, შეიძლება, მრავალი მსგავსი კონფლიქტი წარმოიშვას:

ერთი მხრივ, გინდა, უფრო აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ აქტივიზმში და მეტი დრო დაუთმო კლიმატის შერბილების საკითხს. მეორე მხრივ, ოჯახის, მეგობრების, სკოლის, უნივერსიტეტისა თუ სამუშაოსთვის, საკმარისი დრო უნდა გქონდეს.

ერთი მხრივ, ველოსიპედით ხშირად გადაადგილებას ემხრობი, მეორეს მხრივ კი, იცი, რომ მანქანით უფრო სწრაფად მიხვალ დანიშნულების ადგილამდე.

ერთი მხრივ, ცდილობ, უფრო ხშირად ისარგებლო საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მეორე მხრივ - მანქანით გადაადგილება უფრო კომფორტულია.

ერთი მხრივ, ვეგეტარიანელობა გადაწყვიტე, მაგრამ, მეორე მხრივ, რესტორნის მენიუში ძალიან ცოტა ვეგეტარიანული კერძია ან ტრადიციული ხორციანი უფრო გეგემრიელება.

მიზნებს შორის მსგავსი კონფლიქტები, თითოეული ჩვენგანის ყოველდღიურობის ნაწილია. შენ და შეხვედრის მონაწილეები, ერთმანეთს უკეთ გაუგებთ, თუ მსგავსი კონფლიქტების არსებობას აღიარებთ. მიეცი საშუალება, გულახდილად ისაუბრონ თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაზე და მოგიყვან, თუ რა სახის ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნების წინაშე დგანან.

შემდეგ კი, შეძლებთ ერთად იმსჯელოთ, თუ რა არის საჭირო ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ზოგჯერ არჩევანის გაკეთება გაგვიადვილდება, თუ ცვლილებები საფუძვლიანი იქნება:

თუ მეტი თავისუფალი დრო და ნაკლებად დატვირთული გრაფიკი გაქვს სკოლაში, უნივერსიტეტში ან სამსახურში, მეტი დრო დაგჩვენებს იმისთვის, რომ კლიმატის აქტივიზმში ჩაერთო.

თუ ქალაქში იქნება ბევრი გამართული ველობილიკი, ხოლო მანქანებს დასახლებულ პუნქტებში სიჩქარე შეეზღუდებათ, ველოსიპედით გადაადგილება უფრო სწრაფი გახდება, ვიდრე მანქანით მგზავრობა.

თუ იარსებებს სხვადასხვა სახის საკმარისი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ასე მგზავრობა უფრო სწრაფი და კომფორტული გახდება.

თუ რესტორნის მენიუში ბევრი გემრიელი და ხელმისაწვდომი ვეგეტარიანული კერძია, ვეგეტარიანელობა უფრო მარტივია და ა. შ.

საინფორმაციო ყუთი

ცხოველური წარმოშობის პროდუქტი და კლიმატი

საკვების წარმოებისას გამოყოფილი სათბურის აირების რაოდენობა განსხვავდება და დამოკიდებულია თავად პროდუქტის სახეობაზე. ცხოველური წარმოშობის პროდუქტის წარმოება, როგორცაა კარაქი, ყველი ან ხორცი, გამოყოფს სათბურის აირების შედარებით დიდ რაოდენობას. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. ერთ-ერთი ისაა, რომ საქონლის გამოსაკვებად, დიდი რაოდენობით მოსავალი მოჰყავთ, მაგალითად, სიმინდი, სხვადასხვა სახის მარცვლეული ან სოიო. შინაური ცხოველებისთვის განკუთვნილი საკვების მოსაყვანად საკმარისი მიწა რომ გამოთავისუფლდეს, ხშირად ტყეები იჩეხება. ხეს შეუძლია CO₂-ს შთანთქმა და „შენახვა“, მაგრამ თუ ხეები მოიჭრება, ვეღარც ტყე შეძლებს CO₂-ს „შენახვას“. მსოფლიოში ტყეების საფარის შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, სწორედ, მეცხოველეობაა, რაც ნახშირორჟანგის ბუნებრივი რეზერვუარების შემცირებასაც იწვევს. გარდა ამისა, მაგალითად, ძროხები, საჭმლის მონელების პროცესში, დიდი რაოდენობით მეთანის აირს გამოყოფენ. მეთანს დიდი გავლენა აქვს გლობალურ დათბობაზე, ის 25-ჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე CO₂. რაც ნიშნავს, რომ ძროხები პირდაპირ აფრქვევენ ძლიერ სათბურის აირს. ამის საპირწონედ, ახლად დაკრეფილ ხილს და ბოსტნეულს, ასევე მარცვლეულსა და ლობიოს, შედარებით ნაკლები გავლენა აქვს კლიმატის ცვლილებაზე - განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს კულტურები ღია ცის ქვეშ მოჰყავთ, და არა სათბურებში. CO₂-ს ემისიები მნიშვნელოვნად იზრდება პროდუქციის მსოფლიოს გარშემო, ათასობით კილომეტრით დაშორებულ პუნქტებს შორის გადაზიდვისას. ადგილობრივად წარმოებული პროდუქტი, რომელიც მალაზიამდე დიდ გზას არ გადის, ცალსახად უფრო კლიმატმეგობრულია*. ამიტომ, მეცნიერები გვირჩევენ, ძირითადად, ადგილობრივად წარმოებული, სეზონური პროდუქტი და შედარებით მეტი მცენარეული საკვები მივირთვათ.



იყავი სამაგალითო

ოდესმე დაკვირვებინარ, როგორ სწავლობენ ბავშვები? მათ არ სჭირდებათ წიგნის კითხვა. ისინი საკუთარ გარემოზე დაკვირვებითა და შემეცნებით სწავლობენ და, რაც მთავარია, უფროსებისა და მათზე უფროსი ბავშვების მიბაძვით. მიუხედავად იმისა, რომ გავიზარდეთ, მაინც მუდმივად სწავლის პროცესში ვართ - ზოგჯერ ამას შეგნებულად ვაკეთებთ, ხშირად კი გაუცნობიერებლად - მიბაძვით. ამ შემთხვევაში, ჩვენი შთაგონების წყარო შეიძლება გახდეს სხვისი ლაპარაკის მანერა, ან ცხოვრების სტილი და საქმიანობა.

შეგიძლია, კლიმატის განათლების შეხვედრის მონაწილეებს, გაუზიარო გამოცდილება იმის შესახებ, თუ თავად რას აკეთებ კლიმატისთვის, როგორ დაიწყე ამ საკითხზე ფიქრი, რა ისწავლე და აღმოაჩინე ამ პროცესში.

ხშირად, ჩვენ გარშემო მყოფი ადამიანები, თავიანთი ქცევითა და დამოკიდებულებებით, ჩვენი შთაგონების წყაროდ იქცევიან და საკუთარი მაგალითით გვაჩვენებენ, რომ თითოეულ ჩვენგანს შეუძლია იმოქმედოს.

არა უშავს, თუ ყველაფერი არ იცი

აღბათ, შეგიძინებია, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც თავი ისე მოაქვთ, თითქოს რაღაც საკითხზე ყველაფერი იციან. თუ სიღრმისეულ კითხვაზე პასუხი არ შეუძლიათ, შესაძლოა, საუბარი სულ სხვა თემაზე გადაიტანონ ან, სულაც, პასუხი გამოიგონონ. მაგრამ, არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც გულწრფელად აღიარებენ, რომ კითხვაზე პასუხი არ აქვთ.

იმის აღიარება, რომ ყველაფრის ექსპერტი არ ხარ, შეიძლება, შინაგანი სიძლიერის ნიშანი იყოს. ამით გარშემომყოფები ხედავენ, რომ შენი თვითშეფასება არ არის დამოკიდებული იმაზე, რომ სხვის თვალში ყოვლისმცოდნედ გამოჩნდე. გულახდილობით მეტ ნდობას დაიმსახურებ.

თუ შეხვედრის მსვლელობისას, მონაწილეებს ისეთი კითხვები გაუჩნდებათ, რომლებზეც პასუხის გაცემა მაშინვე არ შეგეძლება, არა უშავს! დაჰპირდი, რომ ამ საკითხზე ინფორმაციას შესვენების დროს მოიძიებ ან თავად შესთავაზე ამის გაკეთება, რათა შემდგომ, სხვებსაც გაუზიარონ.

არ არის აუცილებელი, კლიმატის აბსოლუტური ექსპერტი იყო, იმისთვის, რომ კარგი შეხვედრის ჩატარება შეძლო. მის მიმდინარეობისას, შეგიძლია, ისეთი გარემო შექმნა, სადაც ყველა ერთმანეთს გაუზიარებთ ცოდნას, შესაძლებელი იქნება, მონაწილეებმა ახალი ინფორმაცია მიიღონ და ეს უკვე საკმარისია.



წახალისეთ ექსპერიმენტული განათლება (სწავლა პირადი გამოცდილების საფუძველზე)

კლიმატის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიღება მნიშვნელოვანია, მაგრამ, შესაძლოა, საკმარისი არ იყოს. სწავლა, რომელიც პირად გამოცდილებას ეფუძნება, განათლების მიღების პროცესის აუცილებელი ნაწილია. მონაწილეებს მიეცი საშუალება, ერთმანეთს გაუზიარონ ცხოვრებისეული გამოცდილება და ამ მოვლენებზე ერთად იმსჯელონ.

ორიენტირდი პრობლემის გადაჭრაზე, როგორც კლიმატის განათლების საფუძველზე

კლიმატის ცვლილების თემა გლობალური ხასიათისაა და მრავალ საკითხსა და სფეროს მოიცავს, რის გამოც მასზე ხშირად კამათობენ. სახელმწიფოები განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რა წვლილი შეაქვთ კლიმატის ცვლილების გამომწვევ მიზეზებში, როგორი განვითარების დონე და რა მისწრაფებები აქვთ, ასევე, რა გავლენა აქვს კლიმატის ცვლილებას მათ ტერიტორიაზე. მსგავსი განსხვავებები არსებობს ინდივიდებსა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორისაც. ამიტომაც, მნიშვნელოვანია შეხვედრა ორიენტირებული იყოს პრობლემის გადაჭრაზე და მონაწილეებს საშუალება ჰქონდეთ იფიქრონ, თუ როგორ შეიძლება საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა და მთავრობისგან სწორი ქმედებების მოთხოვნა.



დისკრიმინაციისადმი მგრძობიარე განათლება

კლიმატის განათლების შეხვედრა კარგი შესაძლებლობაა ჯგუფური მუშაობისთვისაც. იმისთვის, რომ მონაწილეებმა აქტივობები ერთად დაგეგმონ და განახორციელონ, საჭიროა შეუქმნათ გარემო, სადაც თავს უსაფრთხოდ იგრძნობენ და რომელიც წაახალისებს, რომ პროცესში ჩაერთონ. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში, წაიკითხავ თვალსაზრისსა და რჩევებს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება შეხვედრის მონაწილეებს სათანადო გარემო შეუქმნა, რათა თავი კომფორტულად იგრძნონ, რაც იდეების განვითარებაში დაეხმარება.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ენა გავლენას ახდენს ჩვენს ფიქრებზე. იმისთვის, რომ მონაწილეების მიმართ პატივისცემა გამოვხატოთ, მნიშვნელოვანია მათ ისე მივმართოთ, როგორც ეს თავად სურთ და საუბრისას გავითვალისწინოთ სხვადასხვა გენდერის ადამიანი.

სიტყვებით შეგვიძლია ერთმანეთს დავუახლოვდეთ, მაგრამ შეგვიძლია გულიც ვატკინოთ. საუბრისას გამოიყენე ის ტერმინები, რომლებთანაც მონაწილეები იდენტიფიცირდებიან. თუ საჭირო გახდება, ახსენი, თუ რატომ იყენებ ამ კონკრეტულ ტერმინებს. მაგალითად, ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებთან ან მათზე საუბრისას.

შესაძლოა, მონაწილეებმა, გაუცნობიერებლად ან, თუნდაც, შეგნებულად გააკეთონ დისკრიმინაციული განცხადებები სხვა მონაწილეების ან, ზოგადად, სხვა ადამიანების მისამართით. კარგი იქნება, თუ შეხვედრის დაწყებამდე შეთანხმდებით, რომ ერთმანეთისადმი პატივისცემით ისაუბრებთ. თუ რომელიმე მონაწილე დისკრიმინაციულ განცხადებას გააკეთებს, შეეცადე, მშვიდად მიუთითო ამაზე და, შემდგომ, ამ საკითხზე ერთად იმსჯელოთ. კარგი იქნება, თუ მონაწილეს უპატივცემულობაში კი არ დაადანაშაულებ, არამედ აუხსნი, შენი გადმოსახედიდან როგორ ხედავ ამ საკითხს. საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლია მარტივად, გასაგები სიტყვებით ახსნა, თუ რას ნიშნავს ჰომოფობია, ტრანსფობია, სექსიზმი, რასიზმი, ანტისემიტიზმი, კლასიზმი, უარყოფისა და დისკრიმინაციის სხვა ფორმები და ცნებები.

კლიმატის შერბილებისთვის გარკვეული ქმედებები, შეიძლება, ხარჯთან იყოს დაკავშირებული. ყველა ოჯახს არ აქვს საშუალება, შეიძინოს ძვირადღირებული ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი ან ელექტრომანქანა. ყველას არ აქვს საკმარისი თავისუფალი დრო იმისთვის, რომ კლიმატის აქტივიზმში ჩაერთოს. ეს უნდა გაითვალისწინო, როდესაც მონაწილეებს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მოქმედებაზე ესაუბრები. ერთად იმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ შეუძლიათ მცირე შემოსავლის ან შეზღუდული თავისუფალი დროის მქონე ადამიანებს, წვლილი შეიტანონ კლიმატის შერბილებაში. ასევე, გაითვალისწინეთ, რომ შეხვედრას შეიძლება ესწრებოდნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც უამრავი ცხოვრებისეული პრობლემის წინაშე დგანან და ეს საკითხები მათთვის, იმ მომენტში, კლიმატის ცვლილებაზე ბევრად მწვავე და აქტუალურია, მიუხედავად იმისა, რომ კლიმატის ცვლილების მიმართ განსაკუთრებით მგრძობიარე, სწორედ, საზოგადოების ისედაც მოწყვლადი თემები არიან და ნეგატიური შედეგებიც ყველაზე მეტად მათზე აისახება. ამიტომ შეხვედრის მონაწილეთა სოციალური ფონიც გაითვალისწინე. გახსოვდეს, რომ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მოქმედებაში აქტიურობა, შეიძლება, პრივილეგიაც იყოს.

ასევე, გაითვალისწინე, რომ კლიმატის ცვლილების საფრთხეს, ადამიანები განსხვავებული სიმძაფრითა და ემოციით აღიქვამენ. ამგვარი დამოკიდებულება, შეიძლება, ჰქონდეთ, მაგალითად, ბუნებრივი კატასტროფებისა და კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების გამო იძულებით გადაადგილებულ პირებს.

კარგი იქნება, თუ დისკრიმინაციისა და ადამიანებისთვის მისაღები ტერმინოლოგიის შესახებ ცოდნას ხშირად განვიხილავთ. სახელმძღვანელოს ამ ნაწილის მიზანი იყო, პირველი ნაბიჯის გადადგმაში დაგხმარებოდა, თუმცა, აქ, რა თქმა უნდა, სრულყოფილად არ ყოფილა განხილული დისკრიმინაციის ყველა ასპექტი. მოუსმინე შენი შეხვედრის მონაწილეებს და გაეცანი სხვა საჭირო ლიტერატურას.



როგორ მოვიქცეთ რთულ სიტუაციაში

მითები კლიმატის შესახებ

„მიმდინარე გლობალური დათბობა ბუნებრივი მოვლენაა. გლობალური კლიმატის ცვლილება წარსულშიც, დედამიწაზე ადამიანების გაჩენამდეც, არაერთხელ მომხდარა!“ - ეს ან სხვა მსგავსი განცხადებები კლიმატის ცვლილებაზე, ალბათ, არაერთხელ გსმენიათ. შეხვედრის მიმდინარეობისას, მონაწილეებისგანაც შეიძლება მოისმინოთ მეცნიერულად საეჭვო ან არაზუსტი განცხადებები გლობალური დათბობისა და კლიმატის კრიზისის შესახებ. შესაძლოა, მათ ჯერაც არ ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა და ეს თვალსაზრისი მედიაში ან ოჯახის წევრებისა და მეგობრებისგან ჰქონდეთ მოსმენილი. როგორი რეაქცია უნდა გვექონდეს ასეთ დროს? იხილეთ რამდენიმე შემოთავაზება:

- მსგავსი სიტუაცია იმისთვის გამოიყენე, რომ შეხვედრის ყველა მონაწილემ რაღაც ახლის სწავლა შეძლოს. იმის ნაცვლად, რომ ეს საკითხი კონკრეტულ ადამიანთან პირად საუბარში გაარჩიო, დისკუსიაში ყველა ჩართე. შეეცადე, მცდარი ფაქტი აღარ გაიმეორო ან, საჭიროების შემთხვევაში, გაიმეორო მხოლოდ ერთხელ, გარკვევით და ყველას გასაგონად: „შენ ახსენე, რომ...“ ზოგადად, რაც უფრო მეტჯერ გაიმეორებთ მცდარ ფაქტს, მით უფრო ჩაიბეჭდება მეხსიერებაში, თუნდაც მოგვიანებით, ის მეცნიერული არგუმენტებით გავაბათილოთ.
- საინტერესოა, თუ ჰკითხავთ, როგორ მივიდა ამ თვალსაზრისამდე. იქნებ, მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკმარისი ცოდნა კლიმატზე, ან ეს აზრი, უბრალოდ, სადღაც „მოისმინა“? ან, იქნებ, სადმე მართლა ამოიკითხა მსგავსი ინფორმაცია და ზუსტად შეუძლია წყარო დაასახელოს? ამის გასარკვევად, შემდეგი კითხვები დაუსვი: „როგორ მიხვედი ამ დასკვნამდე? ზუსტად რა დაინახე, მოისმინე ან წაიკითხე? საიდან გაქვს ეს ინფორმაცია?“
- ამის შემდეგ, შეგიძლია, მცდარ განცხადებაზე შენი ხედვა გაუზიარო და კონტრარგუმენტის საშუალებით მიაწოდო სწორი ინფორმაცია. შეეცადე პასუხი დამაჯერებელი იყოს. ამისთვის კარგი იქნება, თუ შენი კონტრარგუმენტი უფრო იოლად დასამახსოვრებელი იქნება, ვიდრე თავად დებინფორმაცია. შეეცადე, პასუხი იყოს, რაც შეიძლება, კონკრეტული, სანდო (ფაქტებზე დაფუძნებული) და მარტივი. ასევე, თუ მაგალითად კონკრეტულ ამბავსაც მოიყვან, ნათქვამის დამახსოვრება უფრო გაუადვილდებათ. თუ სიმართლე განსაკუთრებით მოულოდნელი და საკვირველია, დამახსოვრებას ესეც გაუადვილებთ. ასევე, კარგი იქნება, თუ პასუხის გაცემისას, ერთ, ან ყველაზე მეტი, სამ თემას სიღრმისეულად შეეხები და არა, მაგალითად, რვა სხვადასხვა საკითხს, მაგრამ ზედაპირულად.
- შეგიძლია, ინტერნეტში მოიძიოთ კლიმატის ცვლილების შესახებ არსებული ყველაზე გავრცელებული მითები და დებინფორმაცია და წინასწარ მოამზადო არგუმენტები მათ წინააღმდეგ.

ეს რჩევები შეგიძლია შეხვედრის მონაწილეებსაც გაუზიარო - როდესაც ყოველდღიურ ცხოვრებაში კლიმატის მითებს წააწყდებიან, თავდაჯერებულად რომ უპასუხონ სხვებს.



როდესაც დრო გვრჩება, ან დრო იწურება

ყოველი ჯგუფი და, შესაბამისად, ყოველი შეხვედრა, განსხვავებულია. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მონაწილეები დაინტერესებული არიან და სიამოვნებთ სხვადასხვა საკითხების განხილვა, ამიტომ ბევრ კითხვას სვამენ. ზოგჯერ კი ძალიან თავშეკავებულად იქცევიან. შესაბამისად, წინასწარ ყოველთვის ვერ გათვლი, საკმარისია თითოეული მეთოდისთვის დაგეგმილი დრო, თუ ზედმეტია.

თუ შეხვედრის მსვლელობისას შეამჩნევ, რომ გრაფიკს ჩამორჩები, შემდეგი მოიმოქმედე:

- თუ დისკუსია მიმდინარეობს, ხელსაყრელ მომენტში, მონაწილეებს უთხარი, რომ გრაფიკს ჩამორჩებით და სთხოვე, შემდეგ საკითხზე გადახვიდე. შეგიძლია, შესთავაზო, რომ დისკუსია შეხვედრის დასრულების შემდეგ განაგრძონ.
- ასევე, შესაძლოა, მეთოდების ზოგი ელემენტი სრულიად ამოიღო ან შეამოკლო. მაგალითად, მონაწილეებს შედარებით ნაკლები სადისკუსიო კითხვები დაუსვი.
- შეგიძლია, საჭირო გახდეს, რომ საერთოდ ამოიღო რომელიმე კონკრეტული მეთოდი გრაფიკიდან ან მთლიანი მეთოდი გამოტოვო. როგორც წესი, ჯობს, რომელიმე მეთოდი სრულიად გამოტოვოთ, ვიდრე ყველა სანახევროდ გააკეთოთ და შემდგომ ამაზე ინერვიულოთ.

იმ შემთხვევაში, თუ შეამჩნევ, რომ მეთოდებს დაგეგმილზე ნაკლები დრო სჭირდება, შეგიძლია, შემდეგი მოიმოქმედო:

- ენერჯაიზერებს უფრო მეტი დრო დაუთმე, ან უფრო გრძელი ენერჯაიზერები გამოიყენე. ასევე, შეგიძლია, სპონტანურად ჩასვა ჯგუფური თამაში ან რაიმე ისეთი მეთოდი, რომელიც კარგად იცნობ და წინასწარი მომზადება არ გჭირდება.
- დასვი მეტი სადისკუსიო კითხვა და ხელი შეუწყე მონაწილეებს შორის აზრთა გაცვლას.
- მონაწილეებს შესთავაზე კითხვა-პასუხის სესიის გამართვა, სადაც შეეძლება კითხვების დასმა იმაზე, თუ რას მოიმოქმედებდნენ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ, როგორც ცვლის ეს ადამიანების ცხოვრების სტილს, და ა. შ.
- შესაძლოა, შეხვედრა სულაც დაგეგმილზე ადრე დაასრულო.



უყურადღებო მონაწილეები

წინასწარ გაითვალისწინე, რომ შეხვედრის ზოგი მონაწილე შეიძლება გადაღლილი იყოს, რადგან რთული დღე ჰქონდა, ან ნაკლები ინტერესი გამოავლინოს, რადგან უკვე ბევრი რამ იცოდეს თემის შესახებ. პირიქითაც, ზოგიერთი მონაწილე, შეიძლება, ბევრი ინფორმაციის ერთიანად მიღების გამო გადაიტვირთოს და ვეღარ წამოგყვეს. ისიც შეიძლება, რომ ზოგი მათგანი ნებაყოფლობით არც მოსულა. სხვადასხვა მიზეზი არსებობს, რის გამოც მონაწილეები უყურადღებოდ იქნებიან. ასეთ დროს, პირველ რიგში, კარგი იქნება, თუ გემასხოვრება, რომ ეს შენი ბრალი არაა. მსგავსი უყურადღებობის უამრავი შენგან დამოუკიდებელი მიზეზი შეიძლება არსებობდეს.



ამავდროულად, დაფიქრდი, რა სჭირდება მონაწილეს, როდესაც ის უყურადღებოდა:

- როდესაც ვინმეს უყურადღებობას შეამჩნევ, პირდაპირ ჰკითხე, სჭირდება თუ არა შესვენება. ან, უბრალოდ, დამატებითი საერთო შესვენება გამოაცხადე.
- შეგიძლია, იკითხო, გასაგებია თუ არა ყველაფერი ან კიდევ თუ დარჩა ღია კითხვები.
- შეგიძლია, მონაწილეებს კითხვები დაუსვა მათ პირად თვალსაზრისზე.
- ზოგჯერ, ასევე მიზანშეწონილია, თუ უყურადღებო მონაწილეებს თავს დაანებებ და შეეგუები, რომ დღეს მზად არ არიან აქტიურობისთვის.
- თუ უყურადღებო მონაწილეები ხმამაღლა ლაპარაკობენ, სხვა მონაწილეებს აწუხებენ და ხელს უშლიან შეხვედრის მიმდინარეობას, შეგიძლია პირდაპირ ჰკითხო, თავს როგორ გრძნობენ და რა სჭირდებათ შენგან. შემდეგ, მათი საჭიროებების მიხედვით იმოქმედე ან, თუ ეს შესაძლებელია, შესთავაზე, სხვა რამით დაკავდნენ.

დავათებითი ლიტერატურა და წყაროები

კლიმატის ცვლილების, კლიმატის ქმედებებისა და სწავლების მეთოდების შესახებ დამატებით ინფორმაციას იხილავთ შემდეგ ბმულებზე:

1. [საქართველოს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი](#)
2. [კლიმატის ცვლილების ქართული პლატფორმა „ქლაიმათ ბეიზიქსის“ ბლოგი და ბიბლიოთეკა](#)
3. [SALTO Toolbox](#)


ქართულ ენაზე უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შემდეგი ლიტერატურა:

1. გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში - მდგრადი განვითარების კონცეფცია (წიგნი 1), 2020
2. გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში - ბიომრავალფეროვნების დაცვა (წიგნი 2), 2020
3. გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში - წყლის რესურსების დაცვა და მდგრადი მართვა (წიგნი 3), 2020
4. გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში - ჰაერის დაცვა დაბინძურებისგან (წიგნი 4), 2020
5. გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში - ნარჩენების მართვა (წიგნი 5), 2020
6. გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში - კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი საფრთხეების შემცირება (წიგნი 6), 2020
7. გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში - მიწის მართვა და გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა (წიგნი 7), 2020
8. გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლებში - სოფლის მეურნეობა. სურსათის უვნებლობა და ხარისხი (წიგნი 8), 2020
9. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში, 2022
10. კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება, სალექციო მასალის კრებული, 2016



რა უნდა გავითვალისწინოთ - ფსიქოლოგია და კომუნიკაცია

გსურს შენ გარშემო მყოფ ადამიანებს მეტი გააგებინო კლიმატის ცვლილების შესახებ? სავარაუდოდ, მათ შორის, ისეთებიც იქნებიან, ვისაც ეს თემა ძალიან დააინტერესებს და ყურადღებითაც მოგისმენენ. ასეთ ადამიანებს, შესაძლოა, ჰქონდეთ მზადყოფნა, რომ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ გარკვეული ნაბიჯებიც გადადგან. სხვები კი, უფრო ყოყმანობდნენ ან უხალისოდ გისმენდნენ. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში კლიმატის ფსიქოლოგიასთან და კომუნიკაციასთან დაკავშირებულ რამდენიმე საინტერესო რჩევას ამოიკითხავ, რაც კლიმატის ცვლილების თემაზე საუბარში დაგეხმარება.



პრობლემის აღიარება

პრობლემის გადასაჭრელად, უპირველეს ყოვლისა, მასზე გარკვეულ ინფორმაციას უნდა ვფლობდეთ. იხილე რჩევები, რომლებიც კლიმატის ცვლილების შესახებ ინფორმაციის გადმოცემისას გამოგადგება:

- დარწმუნდი, რომ შეხვედრის დამსწრეები საკმარის ყურადღებას გაქცევენ. *საინტერესოდ გადმოეცი საკითხი, დასვი კითხვები, მაგალითებად აქტუალური მოვლენები მოიყვანე.*
- ისაუბრე იმაზე, თუ მათ როგორ ეხებათ კლიმატის ცვლილება. *გამოიყენე ადგილობრივი/რეგიონული მაგალითები, ისაუბრე აუდიტორიის წევრების ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.*
- ინფორმაცია ისე გადაეცი, რომ ყველასთვის გასაგები იყოს. *გამოიყენე გრაფიკები, სქემები, წარმოადგინე ინფორმაცია გასაგებად და ფაქტებზე დაფუძნებით.*

ცოდნა იმისა, თუ რა შეიძლება გაკეთდეს

პრობლემის აღიარება კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მოქმედების აუცილებელი საფუძველია. თუმცა ეს, შესაძლოა, საკმარისი არ იყოს. იმისთვის, რომ პრობლემა გადაეჭრათ, აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა შეგვიძლია მოვიმოქმედოთ. რჩევები, რომლებიც კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე ინფორმაციის გადმოცემაში გამოგადგება:

- გააცანი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და საჭიროა ვიმოქმედოთ გარემოსა და ადამიანების საკეთილდღეოდ.
- მოიყვანე განხორციელებული ქმედებების დადებითი და უარყოფითი მაგალითები.
- მოიყვანე მაგალითები, რომლებიც სხვებისთვის ადვილად განსახორციელებელია. ან დაეხმარე მათ ისეთი ქმედებების განხორციელებაში, რომელიც შედარებით რთულია.
- დაეყრდენი მიღებულ ცოდნას.
- გამოსცადე მიღებული ცოდნა პრაქტიკაში.
- ილაპარაკე, იმაზე თუ როგორ მოარგოთ მიღებული ცოდნა სხვადასხვა სიტუაციას.

ჩვევები და რუტინა

ყველაფრის გაკეთება ბევრად ადვილი ხდება, თუ ეს უკვე ჩვევად გვექცევა. შეახსენე დანარჩენებს, რომ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები ყოველდღიურობის ნაწილად უნდა აქციონ.

სოციალური ნორმები

როგორც წესი, ჩვენ გარშემო მუდამ არიან სხვა ადამიანები და, შესაბამისად, ყველა ერთი საზოგადოების ნაწილი ვართ. იმას, რაც უმეტესობისთვისაა მისაღები, „სოციალური ნორმა“ ეწოდება. სოციალური ნორმები დაუწერელი წესები და სტანდარტებია - ხალხი მათ მისდევს და ასრულებს.

რატომ არის სოციალური ნორმები მნიშვნელოვანი კლიმატის განათლებისთვის? ბევრად მარტივია იყო კლიმატმეგობრული და კლიმატის გაჯანსაღებისთვის იმოქმედო, თუ გარშემომყოფებიც ასე იქცევიან. შესაბამისად, ამის გაკეთება გაცილებით რთული იქნება, თუ თქვენს გარშემო, კლიმატზე არც კი ფიქრობენ. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს სოციალური ნორმების მნიშვნელობა და აქედან გამომდინარე, საკუთარ თავს და გარშემომყოფებსაც უფრო გაგებით მოვეკიდოთ. კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის მნიშვნელოვანი ნაწილი სოციალური ნორმების ცვლილებაა.

იმისთვის, რომ გარშემომყოფებსაც ავუმაღლოთ მოტივაცია ჩაერთონ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში, შეგიძლია სხვა ადამიანების მაგალითიც მოიყვანო. შეხვედრაზე მოიწვიე კლიმატის აქტივისტები და ადამიანები, რომლებიც კლიმატის ან გარემოსდაცვითი ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში არიან ჩართული. მათ მაგალითზე სხვებიც დაინახავენ, რომ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ზომების მიღება ყველას ძალუძს, ზოგისთვის კი ეს სულაც ყოველდღიურობის ნაწილად ქცეულა. გარდა ამისა, კარგი იქნება, მოიყვანო ისეთი აქტივობის მაგალითებიც, რომლებიც ჯგუფურად კეთდება, და მეგობრების წრეშიც განხორციელდება.

ხარჯი და სარგებელი

იმისთვის, რომ კლიმატმეგობრული აქტივობა გავვიადვილდეს, სარგებელი უნდა აღემატებოდეს ხარჯს. იხილე, რჩევები, რომლებიც ხარჯის შემცირებასა და სარგებლის გაზრდაში გამოგადგება:

- შექმენი მოკლევადიანი ჯილდოებისა (განსაკუთრებით ერთჯერადი ქმედებებისთვის) და წახალისებების სისტემა. აღნიშნე, თუ რა სარგებელი აქვს ამ ქმედებებს გარემოსა და სხვა ადამიანებისთვის.
- გაამახვილე ყურადღება იმ საკითხებზე, რომელთა ცვლილებაც უფრო გააადვილებს კლიმატმეგობრულ ქცევას. მაგალითად, თუ ავტობუსები დადის, შეძლებთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით იმგზავროთ და არ გამოიყენოთ მანქანა. თუ ავტობუსები არ დადიან, მანქანით მგზავრობისგან თავის არიდება გართულებს.
- მონაწილეები წახალისე, აირჩიონ ისეთი მოქმედებები, რომლებიც იმთავითვე შეესაბამება მათ ინტერესებსა და უნარებს.

” შენს ქმედებას შეუძლია შეცვალოს. ასე რომ, გადაწყვიტე, რის შეცვლა გინდა. “
დრ. ჯეინ გუდოლი, ინგლისელი პრიმატოლოგი/ანთროპოლოგი

მოცემული ინფორმაცია ეფუძნება გერმანულ ორგანიზაცია Initiative Psychologie im Umweltschutz e.V.-ს სახელმძღვანელოს „გარემოს დაცვის ფსიქოლოგია“. სახელმძღვანელოს ინგლისურ ან გერმანულ ენაზე, ჩამოტვირთავთ მოცემული ბმულიდან:

<https://ipu-ev.de/bildungsmaterialien/>



როგორ მოვაფადოთ კლიმატის განათლების შეხვედრა

გეგმავ კლიმატის განათლების შეხვედრის ორგანიზებას? ძალიან კარგი! აქ შეგიძლია იხილო სასარგებლო ინფორმაცია, რაც მომზადებაში დაგეხმარება.

იპოვე მონაწილეები

კლიმატის განათლების შეხვედრის ორგანიზება შეგიძლია მეგობრებისა და ოჯახის წევრებისთვის, თქვენს საცხოვრებელთან არსებულ ახალგაზრდულ კლუბში, უნივერსიტეტში, სკოლაში ან სხვაგან, სადაც ამ საკითხით დაინტერესებულ ადამიანებს იპოვი. როგორ წესი, შეხვედრის მონაწილეების მოგროვება მარტივია, თუ უკვე არსებული ჯგუფის ხელმძღვანელს დაელაპარაკები, მაგალითად, სკოლის მასწავლებლებს, რომლებიც მათივე კლასში კლიმატის შეხვედრის ორგანიზებაში დაგეხმარებიან.

იპოვე თანაფასილიტატორი

რა თქმა უნდა, შეგიძლია კლიმატის განათლების შეხვედრას მართოც გაუძღვე, თუმცა, კარგი იქნება, და ალბათ უფრო სახალისოც, თუ მეწყვილე გეყოლება. ასე შეხვედრას ერთად მოამზადებდით და დავალებებსაც გადაინაწილებდით. შეხვედრის მიმდინარეობისას შეგეძლება ერთმანეთი ჩაანაცვლოთ, ისე, რომ შესვენების საშუალება გქონდეთ, ასევე, ორმა იქნებ უკეთ შეძლოთ მონაწილეების ჩართვა აქტივობებში. ამასთან, თუ ერთ-ერთ თქვენგანს რაიმე კითხვაზე პასუხი არ ეცოდინება, შეიძლება მეორემ იცოდეს!

მოიძიე ინფორმაცია შეხვედრის მონაწილეების შესახებ

კარგი იქნება, თუ შეხვედრის მონაწილეებზე წინასწარ მოიძიებ ინფორმაციას. მაგალითად, საინტერესოა პასუხი შემდეგ კითხვებზე:

- რამდენი მონაწილე დაესწრება შეხვედრას?
- რა ასაკის არიან ისინი?
- რა ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ? (მაგალითად, რომელ ქალაქში ცხოვრობენ, როგორია მათი ეკონომიკური მდგომარეობა, როგორია ენერჯომომარაგება ან მობილობა მათ გარშემო, და სხვა).
- რამდენად ინფორმირებულები არიან იმ საკითხებზე, რომლებსაც შეხვედრა დაფარავს? თუ არიან, რა ტიპის ცოდნა აქვთ?
- წინასწარ ხომ არ გამოხატეს მონაწილეებმა სურვილი და ინტერესი განიხილონ რაიმე კონკრეტული საკითხი?
- რა მიზანი გაქვთ?



შეიმუშავე განრიგი

კლიმატის განათლების შეხვედრის დაგეგმვისას, კარგი იქნება, თუ შეიმუშავებ დეტალურ განრიგს (სახელმძღვანელოს ბოლო ნაწილში, იხ. განრიგის სამი მაგალითი).

დაგეგმე და გათვალე:

- თემები, რომელსაც დაფარავ.
- ზუსტი დრო, რომელიც თითოეული სავარჯიშოსთვის დაგჭირდება.
- კონკრეტულად რა აქტივობების გაკეთება გსურს ამ სავარჯიშოებიდან.
- რა სახის მასალა და რესურსი დაგჭირდება.
- ვინ რომელ ნაწილზე იქნება პასუხისმგებელი.

ასევე, წინასწარ დაფიქრდი, თუ რისთვის აკეთებ ამა თუ იმ სავარჯიშოს ან აქტივობას. რა არის შენი მიზანი? კარგია, თუ ამაზე წინასწარ იფიქრებ, რათა შეხვედრის მიმდინარეობისას შეძლო იმ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია.

მოამზადე მასალა

მაშ შემდეგ, რაც განრიგს შეიმუშავებ, ისიც გეცოდინება, თუ რა მასალა დაგჭირდება. თან იქონიე მარკერები, წებოვანი ლენტები, ცარიელი ან წინასწარ დახატული ფურცლები, საინფორმაციო ბუკლეტები, პრეზენტაცია ან ვიდეომასალა, პროექტორი ან, თუნდაც, საჭირო პროდუქტი, თუ აპირებთ, რომ ჯგუფურად მოამზადოთ სადილი ან სხვა შემოქმედებითი აქტივობა ჩაატაროთ. თუ შეხვედრას ატარებთ სკოლაში ან სხვა რომელიმე დაწესებულებაში, იკითხე, თუ აქვთ საჭირო რესურსი და თუ შეიძლება მისი გამოყენება. ან იკითხე, თუ შეუძლიათ ფინანსურად დაგეხმარონ და საჭირო მასალა შეიძინოთ.

დროულად გამოცხადდი

შეხვედრის დღე ისე დაგეგმე, რომ ადგილზე ცოტა ადრე მიხვიდე. ასე საკმარისი დრო გექნება გაეცნო აუდიტორიას და საჭირო მასალაც მოამზადო. კარგი იქნება, თუ, დაახლოებით, 20-30 წუთით ადრე გამოცხადდები.

დააორგანიზე შეძლებისდაგვარად კლიმატმეგობრული შეხვედრა

შეეცადე შეხვედრის მასალები ან გამოყენებული რესურსები იყოს შეძლებისდაგვარად კლიმატმეგობრული. ასევე, რისი კვლავ გამოყენებაც შესაძლებელია, შეინახე და შემდეგი შეხვედრისთვის გამოიყენე ან მიეცი სხვა ფასილიტატორს. თუ ერთჯერად ჭიქებსა და ბოთლებს იყენებთ, მონაწილეებს შეუძლიათ თავისი სახელი დააწერონ და მთელი შეხვედრის განმავლობაში გამოიყენონ.

ფოკუსირდი კლიმატის ცვლილებაზე

მონაწილეები ხშირად ურევნ კლიმატის ცვლილებას ჰაერის დაბინძურებაში, ოზონის შრის დაშლას ან/და სხვა გარემოსდაცვით პრობლემებში. შესაბამისად, ხშირად მიჰყავთ დისკუსია ამ მიმართულებით. წინასწარ მოამზადეთ ეს თემებიც, აუხსენით და დისკუსიაც სწორი მიმართულებით მართეთ.

”

წიაღისეული საწვავის გადაჭარბებული წვის შედეგად გამოწვეული დაბინძურება და კლიმატის ცვლილებაა რეალური საფრთხე, და არა ის ადამიანები, რომლებიც მიგვითითებენ, რომ ამ საფრთხეს სერიოზულად მივუდგეთ.

“

დევიდ სუზუკი, კანადელი მეცნიერი და გარემოს დაცვის აქტივისტი



კლიმატის განათლების შეხვედრის სტრუქტურა

სახელმძღვანელოს ამ ნაწილში იხილავ კლიმატის განათლების შეხვედრის შესაძლო სტრუქტურის მიმოხილვას. რა თქმა უნდა, სტრუქტურის შეცვლა, შემოკლება, ნაწილების გამოტოვება ან ახალი ელემენტების ჩამატება, სურვილის შესაბამისად შეგიძლია.

1 მიესალმე და გაიცანი ერთმანეთი

მიესალმე შეხვედრის მონაწილეებს და წარუდგინე საკუთარი თავი. შეგიძლია, ერთმანეთის გასაცნობი თამაშებიც გამოიყენო, რაც გახსნის საშუალებას მოგცემთ. ასევე, შესავლისთვის ჩაატარე მოკლე რაუნდი, რის დროსაც მონაწილეები საკუთარ თავს წარადგენენ და, მაგალითად, ორი სიტყვით იტყვიან, როგორ გრძნობენ თავს და უგრძვნიათ თუ არა კლიმატის ცვლილება საკუთარ თავზე. შემდგომ ოთახის შუაში ან წინ, დაფაზე განათავსე სხვადასხვა გრძნობებთან დაკავშირებული სურათები, ემოჯიები ან ტერმინები და მონაწილეებს სთხოვე, აირჩიონ ერთ-ერთი მათგანი, რომელიც მათ გრძნობებს შეესაბამება. ეს იმ მონაწილეებს დაეხმარება საკუთარი გრძნობების გადმოცემაში, რომლებსაც უჭირთ პირდაპირ ამაზე ლაპარაკი ან მორიდებულები არიან.

2 კლიმატის ცვლილების მიზეზები

შეხვედრის ეს ნაწილი კლიმატის ცვლილების საფუძვლებს ეხება. აქ მონაწილეები გაეცნობიან, თუ რას ნიშნავს ბუნებრივი სათბურის ეფექტი*, ადამიანის რომელი საქმიანობით ძლიერდება ის, რაც, საბოლოოდ, იწვევს კიდევ კლიმატის ცვლილებას და გლობალურ დათბობას.

3 კლიმატის ცვლილების შედეგები

შეხვედრის ამ ნაწილში შეგიძლია განიხილო კლიმატის ცვლილების შედეგები, ისინი, რომლებიც დღეს უკვე ცხადია და ისინიც, სავარაუდოდ, მომავალში რომ გამოვლინდება, როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოში.

4 კლიმატის შერბილება პრაქტიკაში

ახლა კი ვარჯიშის დროა. მონაწილეებს შეუძლიათ გაეცნონ, განავითარონ ან განახორციელონ კლიმატის შერბილების ღონისძიებები. ყურადღება გაამახვილე ისეთ საკითხებზე, როგორიცაა კლიმატის აქტივიზმი და კლიმატის ადვოკატირება ან ზოგადად ესაუბრე კლიმატის შერბილების ღონისძიებებზე. თუ გაქვთ საკმარისი დრო და შესაძლებლობა, შეგიძლიათ ეს ყველაფერი პრაქტიკაშიც გადაიტანოთ: მაგალითად, ერთად მოამზადოთ გემრიელი ვეგანური სადილი, მოაწყობოთ ტანსაცმლის ან წიგნების გაცვლის ღონისძიება, ან წამოიწყოთ სოციალური მედიის კამპანია.



5 დასკვნა

შეხვედრის დასკვნით ნაწილში განხილული თემები და აქტივობები შეაჯამე და მონაწილეებს უკუკავშირი სთხოვე. ასევე, საინტერესო იქნება, თუ თითოეული მონაწილე დაასახელებს ერთ რამეს, რაც იმ დღეს ისწავლა, ან იმას, რის გაკეთებაც სამომავლოდ სურს კლიმატის შერბილებისთვის.

6 ენერჯაიზერები და სხვა ელემენტები

შეარჩიე ხანმოკლე თამაშები (ენერჯაიზერები), რომლებიც დაეხმარება მონაწილეებს შეხვედრისთვის განწყობა და მზაობა აიმაღლონ, ერთმანეთი უკეთ გაიცნონ, დაახლოვდნენ, იმოძრაონ და გაერთონ. რა თქმა უნდა, შეგიძლია, შეხვედრას სხვა საინტერესო ელემენტებიც დაამატო, მაგალითად, კლიმატის ცვლილების შესახებ აზრებისა და გრძნობების გაზიარება.

კლიმატის შეხვედრისთვის მნიშვნელოვანი ელემენტების სია

📍 ადგილმდებარეობა

🕒 დრო და საათი 🗺️ საკონტაქტო პირი

🎯 მიზანი

👥 მონაწილეთა რაოდენობა და ასაკი

🗨️ უკვე არსებული ცოდნა

☰ შეხვედრის მთავარი თემები

🖥️ რესურსი, რომელიც უკვე ადგილზეა

📁 რესურსი, რომელიც თავად უნდა მიიტანო

✍️ შენიშვნები

კლიმატის განათლების მეთოდები

სახელმძღვანელოს ამ ნაწილში გაეცნობი კლიმატის განათლების შეხვედრისთვის გამო-სადეგ სხვადასხვა საგანმანათლებლო მეთოდს შემდეგ თემებზე: „კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზები“, „კლიმატის ცვლილების შედეგები“ და „კლიმატის ცვლილების წინა-აღმდეგ მოქმედება“.

1 კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზები

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მონაწილეებს მივაწოდოთ ინფორმაცია, იმის შესახებ, თუ რა იწვევს კლიმატის ცვლილებას. ამ ქვეთავში აღწერილია ის მეთოდი, რომლის დახმარებითაც ინტერაქტიული გზით ახსნი კლიმატის ცვლილების გამომწვევ მიზეზებს. მეთოდის მიზანია, თითოეულ მონაწილეს შეექმნას წარმოდგენა შემდეგ სამ საკითხზე: რა არის სათბურის ეფექტი? რა როლს ასრულებენ სათბურების აირები კლიმატის ცვლილებაში? რა გავლენას ახდენს ადამიანი სათბურის ეფექტზე, რაც შემდგომში იწვევს კლიმატის ცვლილებას?

2 კლიმატის ცვლილების შედეგები

რატომ არის მნიშვნელოვანი კლიმატის ცვლილების საპასუხოდ მოქმედება? რადგან კლიმატის ცვლილებას საგანგაშო შედეგები მოაქვს როგორც ადამიანებისთვის, ასევე ცხოველებისა და მცენარეებისთვის. ამ ქვეთავში აღწერილი ორი მეთოდი კლიმატის ცვლილების შედეგებს შეეხება: ერთი ყურადღებას ამახვილებს შედეგებზე გლობალურ დონეზე, ხოლო მეორე - საქართველოზე.

3 მოქმედება კლიმატის ცვლილების საპასუხოდ - რა შემიძლია მე, როგორც მოსწავლემ ან სტუდენტმა, გავაკეთო?

ახლა კი მოქმედების დროა! ამ ქვეთავში აღწერილი სამი მეთოდი კლიმატისთვის მოქმედების სხვადასხვა სფეროზე ამახვილებს ყურადღებას: პირველი, საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა და მოიცავს მოქმედების სხვადასხვა სფეროს, მეორე მეთოდი შეეხება კლიმატის აქტივიზმს, ხოლო მესამე - კლიმატის ადვოკატირებას.

რა თქმა უნდა, შეგიძლია თავადაც მოიფიქრო მსგავსი მეთოდები იმ თემებისთვის, რომლებიც გაინტერესებს და გინდა ყურადღება გაამახვილო. ამისთვის, გაითვალისწინე შემდეგი რჩევები:

- მოიძიე ინფორმაცია ინტერნეტში: იქნებ, უკვე არსებობს ამ თემის შესაფერისი მეთოდი? ძიების დროს, შესაძლოა, საინტერესო იდეები დაგებადოს.
- დაფიქრდი: მოიცავს, თუ არა მეთოდი იმ საკითხებს, რომლებიც გაინტერესებს? არის, თუ არა ასაკის შესაფერისი? შეესაბამება თუ არა მონაწილეების ცოდნის დონეს?
- წინასწარ გათვალე მეთოდისთვის საჭირო შეხვედრის ხანგრძლივობა და მასალა.
- თუ გსურთ, თავი უფრო თავდაჯერებულად იგრძნო, წინასწარ გამოსცადე მეთოდი მეგობრებთან ან ოჯახის წევრთან შინ, ვიდრე მას შეხვედრაზე გამოიყენებ.

კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზები

აქ აღწერილია მეთოდი, რომლის დახმარებითაც, კლიმატის ცვლილების გამომწვევ მიზეზებს ახსნი.

🕒 ხანგრძლივობა: 20+ წუთი

👤 ასაკი: 10+ წელი

📖 მასალა: მუყაოსგან გამოჭრილი სიმბოლოები (მზე, წითელი და ყვითელი სხივები, დედამიწა, სათბურის აირები და, მაგალითად, მანქანა, ქარხანა, ძროხა, საყიდლების კალათა ან სახლი).

1 ფასილიტატორებიდან ერთ-ერთი წარადგენს თემას: „დღეს ვისაუბრებთ იმ მიზეზებზე, რაც გლობალურ დათბობასა და, შესაბამისად, კლიმატის ცვლილებას იწვევს“. თემა უნდა ახსნა ძალიან მარტივი სიტყვებით და სიმბოლოების დახმარებით. აუხსენი მონაწილეებს სათბურის ეფექტის მნიშვნელობა და ისიც, თუ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი.

2 თავდაპირველად მონაწილეები გაეცნობიან ბუნებრივი სათბურის ეფექტის მოვლენას. ამ დროს შესაბამისი სიმბოლოები განათავსე მათ წინ და სთხოვე, შეეცადონ, სიმბოლოები სწორად დააღაგონ. საჭიროების შემთხვევაში შეუსწორე და დაუსვი შემდეგი კითხვები:

- რას ვგულისხმობთ მაშინ, როდესაც ბუნებრივ სათბურის ეფექტზე ვსაუბრობთ? როგორ მიმდინარეობს ეს მოვლენა?
- რა სახის სათბურის აირები არსებობს?
- რატომ ჰქვია ამ მოვლენას სათბურის ეფექტი?
- რა იქნებოდა საშუალო ტემპერატურა დედამიწაზე, ბუნებრივი სათბურის ეფექტი რომ არ არსებობდეს?

განმარტე ძირითადი ტერმინები და კონტექსტი და გაეცი პასუხი ღია კითხვებს.


3 ყურადღება გადაიტანე ადამიანების საქმიანობებზე, რომლის ზემოქმედებაც აძლიერებს სათბურის ეფექტს და იწვევს ანთროპოგენურ* (ადამიანის საქმიანობით გაძლიერებულ) სათბურის ეფექტს.

შეხვედრის მონაწილეებმა შეიძლება გკითხოთ, თუ ადამიანის რომელი საქმიანობისას გამოიყოფა სათბურის აირები. მუყაოს სიმბოლოები, რომლებიც ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ასახავს (მაგალითად, ძროხა, მანქანა და სხვა.), დაფაზე განათავსე. ახსენი, რა არის წიაღისეული საწვავი*.


სთხოვე მონაწილეებს სიმბოლოები იმის მიხედვით შეცვალონ, თუ როგორ აისახება მათზე ადამიანის საქმიანობით გაძლიერებული სათბურის ეფექტი.

4 სესიის ბოლოს მონაწილეებმა უნდა იცოდნენ: ბუნებრივი სათბურის ეფექტი, მზის მოკლე ტალღის გამოსხივება, გრძელი ტალღის სითბური გამოსხივება, ადამიანის საქმიანობით გაძლიერებული სათბურის ეფექტი.

ბუნებრივი სათბურის ეფექტი



ადამიანის მიერ გაქლიერებული სათბურის ეფექტი



კლიმატის ცვლილების შედეგები გლობალურ დონეზე

აქ წარმოდგენილი ორი მეთოდი, შეხვედრის მონაწილეებს გააცნობს, თუ კლიმატის ცვლილების რა შედეგები ფიქსირდება გლობალურ დონეზე.


კლიმატის ცვლილების შედეგების შესახებ ქვიზს, დაახლოებით, 15-30 წუთი სჭირდება, იქიდან გამომდინარე, თუ რამდენად სიღრმისეულად გინდა თემის გაშლა. კითხვარისთვის დაგჭირდება კლიმატის ცვლილების შედეგების ფოტომასალა და მსოფლიო რუკა.

ვიდეოკლიპის განხილვას, დაახლოებით, 25-40 წუთი სჭირდება (გააჩნია, რა ხანგრძლივობა აქვს შერჩეულ ვიდეოკლიპს). მეთოდისთვის დაგჭირდება ეკრანი ან პროექტორი, ფურცლები და მარკერები. დამატებით, შეგიძლია გამოიყენო კლიმატის ცვლილების შედეგების ფოტომასალა.

ქვიზი: კლიმატის ცვლილების შედეგები გლობალურ დონეზე

 **სანგრძლივობა:** 20+ წუთი

 **ასაკი:** 10+ წელი

 **მასალა:** კლიმატის ცვლილების შედეგების ფოტომასალა (დაბეჭდილი ან პრეზენტაციაში დართული), ფურცლები და მარკერები (სურვილისამებრ), ვიდეო (სურვილისამებრ).



ქვიზისთვის აირჩიე კლიმატის ცვლილების შედეგების ამსახველი ფოტომასალა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ფოტოები დაბეჭდე, ან აჩვენე ეკრანზე პროექტორის საშუალებით. თუ ფოტოებს დაბეჭდავ, კარგი იქნება, მსოფლიო რუკაც თუ გექნება, რომელზეც ფოტოებს შესაბამის გეოგრაფიულ ადგილებზე მიამაგრებ.


1 აჩვენე პირველი ფოტო. მონაწილეებმა უნდა გამოიცნონ, კლიმატის ცვლილების კონკრეტულად რა შედეგს ხედავენ. შესაძლებელია, ინდივიდუალურადაც ჩამოწერონ პასუხები ფურცლებზე. თუმცა, შეიძლება, მცირე (ორ ან სამკაციან) ჯგუფებშიც იმუშაონ, და პასუხზე პატარა დისკუსიის შედეგად შეთანხმდნენ.

2 მას შემდეგ, რაც მონაწილეები საკუთარ პასუხებს გაგიზიარებენ, სწორი პასუხი გამოაცხადე. დამატებით, შეგიძლია მონაწილეებს მიუთითო, ფოტო მსოფლიო რუკაზე იქ განათავსონ, სადაც, მათი აზრით, კლიმატის ცვლილების შედეგი გამოვლინდება. შემდეგ იკითხე, რატომ მოაქვს კლიმატის ცვლილებას ეს კონკრეტული შედეგი (მაგალითად, უფრო ხშირი წვიმა? რატომ იმატებს ზღვის დონე? რატომ ფიქსირდება მეტი გვალვა?). გარდა ამისა, იკითხე, რა გავლენა აქვს ამ მოვლენებს ადამიანებზე. შეაგროვე მონაწილეთა ვარაუდები, თავადაც დაამატე ინფორმაცია და შეაჯამეთ.

3 იგივე გაიმეორე სხვა ფოტოებთან მიმართებაშიც.

მიღებული ცოდნის გაღრმავებისა და გაცნობიერების მიზნით, ქვიზის შემდეგ აჩვენე მოკლე ვიდეომასალა, მაგალითად, YouTube-ზე განთავსებული.

ვიდეოკლიპის ჩვენება და დისკუსია კლიმატის ცვლილების შედეგებზე გლობალურ დონეზე



სანგრძლივობა: 25+ წუთი

ასაკი: 10+ წელი

მასალა: ეკრანი ან პროექტორი, ვიდეოკლიპი(ები), ფურცლები, კალმები (ან მარკერები).

წინასწარ შეარჩიე ერთი ან ორი ვიდეო კლიმატის ცვლილების შედეგების შესახებ. აქ იხილავ რამდენიმე ნიმუშს.

ინგლისურ ენაზე:

- [რა მოხდება, გლობალური დათბობა სამი გრადუსით თუ მოიმტებს - The Economist \(16:23 წთ.\)](#)
- [როდესაც სამყარო 1°C-ით თბება - კლიმატის ცვლილება: ფაქტები - BBC Earth \(7:19 წთ\)](#)
- [რა შედეგები მოიტანა კლიმატის ცვლილებამ მსოფლიოში 2019 წელს - CNN \(7:17 წთ\)](#)
- [გარდამტეხი წერტილი - კლიმატის ცვლილება: ფაქტები - BBC Earth](#)

ქართულ ენაზე:

- [კლიმატის ცვლილება - MOVEMENTTV](#)
- [რა პრობლემებს ქმნის კლიმატის ცვლილება? - ტვ პირველი](#)
- [კლიმატის ცვლილება \(გლობალური დათბობა\) - 42° პარალელი, პირველი არხი](#)
- [კლიმატის ცვლილება და ბიომრავალფეროვნება - UNDP](#)

1 ვიდეოკლიპის ჩართვამდე, სთხოვე მონაწილეებს, გაითვალისწინონ შემდეგი საკითხები:

- უკვე რა შედეგები აქვს კლიმატის ცვლილებას?
- რა შედეგები შეიძლება ჰქონდეს კლიმატის ცვლილებას მომავალში?
- ვინ ზარალდება განსაკუთრებით კლიმატის ცვლილების შედეგად?

2 ჩართე ვიდეო. ვიდეოს დასრულების შემდეგ, ჯგუფს დაუსვი იგივე კითხვები.

3

თუ იკითხავ, მაგალითად, უკვე რა შედეგები აქვს კლიმატის ცვლილებას ან, სავარაუდოდ, რა შედეგები მოჰყვება მას მომავალში, შემდეგნაირად განაგრძე: როდესაც მონაწილეები სწორ პასუხს გაგცემენ, დაწერე დაფაზე ან ფურცელზე ჩამოწერე მარკერით ისე, რომ ყველამ კარგად დაინახოს. თუ, ამავდროულად გაქვს ფოტომასალა, რომელიც მსგავს მოვლენას აღწერს, შეგიძლია ის ოთახის შუაში განათავსო ან მიაკრა კედელზე. შემდეგ, ჰკითხე მონაწილეებს, რატომ მოაქვს კლიმატის ცვლილების ეს კონკრეტული შედეგები (მაგალითად, რატომ იწვევს უფრო ხშირ და ძლიერ წვიმას? რატომ იზრდება ზღვის დონე? რატომ იწვევს ხშირ გვალვას? რატომ იწვევს ნაკლებ წვიმას? რატომ ქრება მდინარეები?). შეაგროვე მონაწილეთა თვალსაზრისი, თავადაც დაამატე ინფორმაცია და შეაჯამე. იგივე გაიმეორე კლიმატის ცვლილების სხვა შედეგებზეც.

4

გააგრძელე ანალოგიურად სხვა კითხვებზე.

5

ამის შემდეგ, შეგიძლია დისკუსია წამოიწყო, დასვა კითხვები, და ამით იდეების მონაწილეებს შორის გაცვლას შეუწყო ხელი. კითხვების განხილვა შესაძლებელია ერთიან ღია წრეში. ასევე, ითამაშეთ „კი-არა“ კითხვების თამაში: ოთახის ერთი კუთხე იქნება „არა-ზონა“, მეორე - „კი-ზონა“, ხოლო შუაში გაივლება ხაზი. მონაწილეებს შეუძლიათ თავიანთი პასუხების შესაბამისად დაიკავონ ადგილი. შემდგომ, ჰკითხეთ, თუ რატომ გადაწყვიტეს ამ ზონაში დადგომა.

შესაძლო სადისკუსიო კითხვები:

- როგორ ფიქრობთ, აქვთ თუ არა გავლენა კლიმატის ცვლილებას თქვენს ცხოვრებაზე?
- როგორ ფიქრობთ, რა გავლენა ექნება კლიმატის ცვლილების შედეგებს თქვენს ცხოვრებაზე მომავალში?
- რას გრძნობთ, როდესაც კლიმატის ცვლილების შედეგებზე ფიქრობთ?
- როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს დღესდღეობით?
- როგორ ფიქრობთ, თქვენ რისი გაკეთება შეგიძლიათ?



კლიმატის ცვლილების შედეგები საქართველოში

აქ წარმოდგენილი ორი მეთოდით, შეხვედრის მონაწილეებს, საქართველოში კლიმატის ცვლილების შედეგებზე ცოდნას გაუზიარებ.

ქვიზს კლიმატის ცვლილების შედეგების შესახებ, დაახლოებით, 15-30 წუთი სჭირდება, იქიდან გამომდინარე, თუ რამდენად სიღრმისეულად გსურთ თემის შესწავლა. ქვიზისთვის დაგჭირდება კლიმატის ცვლილების შედეგების ფოტომასალა.

„ინტერვიუს ექსპერტთან“, დაახლოებით, 20-35 წუთი სჭირდება. მოამზადე აუდიოფაილი „ინტერვიუ ექსპერტთან“ და გამართე დინამიკები. დამატებით გამოიყენე კლიმატის ცვლილების შედეგების ფოტომასალა.

ქვიზი: კლიმატის ცვლილების შედეგები საქართველოში

სანგრძლივობა: 20+ წუთი

ასაკი: 10+ წელი

მასალა: კლიმატის ცვლილების შედეგების ფოტომასალა (დაბეჭდილი ან პრეზენტაციაში დართული), ფურცლები და მარკერები (სურვილისამებრ), ვიდეო კლიპები (სურვილისამებრ), საქართველოს რუკა (სურვილისამებრ).



აარჩიე საქართველოში გადაღებული ფოტოები, რომელიც კლიმატის ცვლილების შედეგებს გვიჩვენებს. თუ სურვილი გექნება, შეგიძლია, ყურადღება გაამახვილო კლიმატის ცვლილების შედეგებზე იმ რეგიონში, საიდანაც მონაწილეები არიან. ფოტოების დაბეჭდე (მინიმუმ, A4 ფორმატში) ან უჩვენეთ პროექტორით.

1 მონაწილეებს გააცანი პირველი ფოტო. მათ უნდა გამოიცნონ, კლიმატის ცვლილების რა შედეგი ჩანს სურათზე. შესაძლებელია, რომ ინდივიდუალურადაც ჩამოწერონ თავიანთი პასუხები. თუმცა, ასევე შესაძლოა, მცირე (ორ ან სამწევრიან) ჯგუფებში იმუშაონ, და პასუხზე ხანმოკლე დისკუსიის შემდეგ შეთანხმდნენ.


2 მას შემდეგ, რაც მონაწილეები საკუთარ პასუხებს გაგიზიარებენ, გამოაცხადე სწორი პასუხი. დამატებით, სთხოვე ფოტოები განათავსონ საქართველოს რუკაზე იქ, სადაც, მათი აზრით, კლიმატის ცვლილების შედეგი გვხვდება. შემდეგ იკითხე, რატომ მოაქვს კლიმატის ცვლილებას ეს შედეგი (მაგალითად, რატომ გახშირდა წვიმა? რატომ იზრდება ზღვის დონე? რატომ გახშირდა გვალვა? რატომ დნება მყინვარები?). გარდა ამისა, ჰკითხე, რა გავლენა აქვს ამ მოვლენებს ადამიანებზე. შეაგროვე მონაწილეთა თვალსაზრისი, თავადაც დაამატე ინფორმაცია და შეაჯამეთ.

3 იგივე გაიმეორეთ სხვა ფოტოებით.

მიღებული ცოდნის გაღრმავებისა და გაცნობიერების მიზნით, ქვიზის შემდეგ უჩვენეთ მოკლე ვიდეომასალა, მაგალითად, YouTube-ზე განთავსებული.

„ინტერვიუ ექსპერტთან“ - კლიმატის ცვლილების შედეგები საქართველოში

ამ მეთოდისთვის მზად გქონდეს აუდიოფაილი „ინტერვიუ ექსპერტთან“ და გამართე დინამიკები. დარწმუნდი, რომ ხმა ყველას კარგად ესმის. დამატებით შეგიძლია გამოიყენო კლიმატის ცვლილების შედეგების ფოტოები (მინიმუმ, A4 ფორმატში დაბეჭდილი).



🕒 ხანგრძლივობა: 25+ წუთი

👤 ასაკი: 10+ წელი

📄 მასალა: აუდიო/ვიდეოფაილი „ინტერვიუ ექსპერტთან“, დინამიკები, კლიმატის ცვლილების შედეგების ამსახველი ფოტომასალა.

1 ვიდეო/აუდიოფაილის ჩართვამდე, სთხოვე მონაწილეებს, მოსმენისას, შემდეგ საკითხებზე გაამახვილონ ყურადღება:

- კლიმატის ცვლილების რა შედეგები იგრძნობა დღესდღეობით საქართველოში?
- რა ზეგავლენა შეიძლება იქონიოს კლიმატის ცვლილებამ საქართველოზე მომავალში?
- ვინ ზარალდება განსაკუთრებით კლიმატის ცვლილების შედეგად?

2 ჩართე ინტერვიუ. მონაწილეები მოისმენენ ინტერვიუს ქართველ ექსპერტთან, რომელიც განმარტავს, თუ რა გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილება საქართველოზე, რას შეიძლება ველოდეთ მომავალში და საზოგადოების რომელი ჯგუფები დაზარალდებიან განსაკუთრებით კლიმატის ცვლილების შედეგად.

3 ინტერვიუს დასრულების შემდეგ ჯგუფს ხელახლა ჰკითხე:

- კლიმატის ცვლილების რა ზეგავლენა იგრძნობა დღესდღეობით საქართველოში? როდესაც მონაწილეები სწორ პასუხს გაგცემენ, აარჩიე ის ფოტოები, რომლებიც მსგავს მოვლენას აღწერს და ოთახის შუაში განათავსე ან მიაკარი კედელზე, ან დაფაზე. ჰკითხე მონაწილეებს, თუ რატომ მოაქვს კლიმატის ცვლილების ეს შედეგები (მაგალითად, რატომ დნება მყინვარები? რატომ იწვევს კლიმატის ცვლილება უფრო ხშირ და ძლიერ წვიმას? რატომ იზრდება ზღვის დონე? რატომ ხშირდება გვალვა და წყალდიდობა?). შეაგროვე მონაწილეთა თვალსაზრისი, თავადაც დაამატე ინფორმაცია და შეაჯამე. იგივე გაიმეორე კლიმატის ცვლილების სხვა შედეგებზეც.
- რა ზეგავლენა შეიძლება იქონიოს კლიმატის ცვლილებამ საქართველოზე მომავალში?
- ვინ ზარალდება განსაკუთრებით კლიმატის ცვლილების შედეგებით? ისევ შეაგროვე მონაწილეთა თვალსაზრისი, თავადაც დაამატე ინფორმაცია და შეაჯამე.

4

ამის შემდეგ, შეგიძლია, დისკუსია წამოიწყო, დასვა კითხვები, და ამით, მონაწილეებს შორის, იდეების გაცვლას შეუწყო ხელი. კითხვების განხილვა შესაძლებელია ერთიან ღია წრეში. ასევე, ითამაშეთ „კი-არა“ კითხვების თამაში: ოთახის ერთი კუთხე იქნება „არა-ზონა“, მეორე - „კი-ზონა“, ხოლო შუაში გაივლება ხაზი. მონაწილეებს შეეძლება თავიანთი პასუხების შესაბამისად დაიკავონ ადგილი. შემდგომ, ჰკითხე, თუ რატომ გადაწყვიტეს ამ ზონაში დადგომა.

შესაძლო სადისკუსიო კითხვები:

- როგორ ფიქრობთ, აქვთ თუ არა კლიმატის ცვლილებას გავლენა თქვენს ცხოვრებაზე?
- როგორ ფიქრობთ, რა გავლენა ექნება კლიმატის ცვლილების შედეგებს თქვენს ცხოვრებაზე მომავალში?
- რას გრძნობთ, როდესაც კლიმატის ცვლილების შედეგებზე ფიქრობთ?
- როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს დღესდღეობით?
- როგორ ფიქრობთ, თქვენ რის გაკეთება შეგიძლიათ?




გთავაზობთ ექსპერტებთან ინტერვიუს რამდენიმე ნიმუშს (ქართულ ენაზე):

- [რა ნიშნავს გლობალური დათბობა და როგორ აისახება ის მსოფლიოსა და საქართველოზე?](#)
- [კლიმატის ცვლილებები - რა ემუქრება საქართველოს გლობალური დათბობის დროს](#)
- [რა მოხდება, თუ კავკასიონზე მყინვარები დადნება?](#)
- [კლიმატური ცვლილება - რეალობა თუ მითი | რეალური სივრცე](#)
- [საქართველოს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის ახალი ვალდებულება | UNDP](#)

ფიქრები და განცდები კლიმატის ცვლილებაზე

საგანმანათლებლო მიდგომისა და კლიმატის ფსიქოლოგიის თავებში უკვე აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებაზე შეხვედრის მონაწილეების ფიქრებსა და განცდებს გაგებით მივუდგეთ. საკუთარი აზრებისა და გრძნობების გაზიარება მათ დაეხმარება, რომ არსებულ ვითარებას უკეთ გაუმკლავდნენ და ძალა მოიკრიბონ მოქმედებისთვის. ამ მეთოდის საშუალებით, შენ შეგიძლია მონაწილეებისთვის შექმნა სივრცე, სადაც ისინი თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ შეხედულებებსა და დამოკიდებულებას კლიმატის ცვლილებასთან მიმართებით.



სანვრძლივობა: 25+ წუთი

ასაკი: 10+ წელი

მასალა: შესაფუთი ქაღალდი/დიდი ფორმატის ფურცლები, კალმები (ან მარკერები).

იატაკზე დააფინე სამი ცალი დიდი ფორმატის ფურცელი (ან შესაფუთი ქაღალდი) და იქვე დაალაგე მარკერები. თითოეულ ფურცელზე დაწერე თითო წინადადებების დასაწყისი (აარჩიე, რომელიც გსურს და მოგწონს):

- ვფიქრობ, რომ კლიმატის ცვლილება...
- კლიმატის ცვლილების შედეგები მაიძულებს...
- პოლიტიკოსებს მინდა მოვუწოდო, რომ...
- არ მესმის, რატომ...
- ვბრაზობ, რადგან...
- მინდა, რომ...

რა თქმა უნდა, შეგიძლია თავადაც მოიფიქრო მსგავსი წინადადებები

1 ახსენი მეთოდის არსი. აუხსენი მონაწილეებს, რომ ესაა სივრცე კლიმატის ცვლილების შესახებ აზრებისა და განცდების გასაზიარებლად და ღია კითხვების დასასმელად. წაიკითხე, რაც ფურცლებზე წერია.

2 ახლა მონაწილეებს დაახლოებით 10 წუთი აქვთ თავიანთი აზრების ჩამოსაწერად. მათ შეუძლიათ მოკლე კომენტარებიც მიაწერონ სხვის მიერ დაწერილ ფრაზებს.

3 მას შემდეგ, რაც ყველა გააკეთებს ჩანაწერს, მონაწილეები პირველი ფურცლის ირგვლივ შემოიკრიბე. ხმამაღლა წაიკითხე ის, რაც დაწერეს. იკითხე, ვინმეს ხომ არ სურს დამატებით რაიმეს თქმა. ასევე შეგიძლია, გამოარჩიოთ კონკრეტული აზრები ან განცდები და ყურადღება მათზე გაამახვილო (მაგალითად, რომლებიც რამდენჯერმე განმეორდა ან სადისკუსიოდ გამოგადგება). ჰკითხეთ ჯგუფს, თუ სურს ვინმეს საკუთარი აზრის გამოთქმა, ვინ ეთანხმება მოცემულ აზრს და რატომ.

4 იგივენაირად გააგრძელე სხვა ფურცლების ირგვლივ.

მოქმედება კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ - აქტივიზმი

კლიმატის შერბილების მოთხოვნისა და უფრო სამართლიანი სამყაროსკენ სწრაფვის მრავალი გზა არსებობს. ამ მეთოდით, შეხვედრის მონაწილეები, კლიმატის აქტივიზმის სხვადასხვა ფორმას გაეცნობიან.

🕒 ხანგრძლივობა: 75+ წუთი

👤 ასაკი: 13+ წელი

🏠 მასალა: ფოტოები/პრეზენტაცია, გამზადებული ფურცლის ნიმუში, საინფორმაციო მასალა (ფაქტები, ინტერვიუები, ვიდეოკლიპები - მონაწილეთა ასაკისა და ცოდნის დონის შესაბამისად), კალმები (ან მარკერები).



1 პირველ რიგში, გააცანი მონაწილეებს თემა. ახსენი, თუ რას გულისხმობს კლიმატის აქტივიზმი ან ვინ არიან კლიმატის აქტივისტები. მაგალითად: „კლიმატის აქტივისტები არიან ადამიანები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული კლიმატის შერბილების საკითხებში. ისინი მართავენ საჯარო კამპანიებს, საპროტესტო აქციებს, ბლოკადებს და ამ გზით ცდილობენ საზოგადოების ყურადღება კლიმატის ცვლილების ირგვლივ არსებული საკითხებისკენ მიაპყრონ. მათ სურთ, რომ პოლიტიკოსებმა, ინდუსტრიის წარმომადგენლებმა და თითოეულმა ჩვენგანმა, კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგან“.

2 ახლა კი აქტივიზმის სხვადასხვა ფორმები შეახსენე. ამისთვის გამოიყენე ფოტოები, რომლებსაც პრეზენტაციით უჩვენებ ან ამობეჭდავ - თითო ფოტოს აქტივიზმის კონკრეტულ ფორმაზე. ახსნას დიდი დრო არ დაუთმო. მონაწილეები ჯგუფურად განიხილავენ აქტივიზმის სხვადასხვა ფორმას. აქტივიზმის შესაძლო ფორმებია:

- დემონსტრაციები
- ქუჩის შემოქმედებითი აქტივობა-პერფორმანსები/„ფლეშმობი“
- სოციალური მედიის კამპანიები
- პეტიციები
- გარემოსდაცვით ორგანიზაციებში გაწევრიანება
- საგანმანათლებლო სამუშაო
- სამოქალაქო დაუმორჩილებლობა
- აქტივიზმის სხვა ფორმები, რომლებიც გაგივია და გსურს ჩამოთვალო

3 სთხოვე მონაწილეებს დაიყონ ორიდან ოთხწევრიან ჯგუფებად. თითოეული ჯგუფი აირჩევს აქტივიზმის ერთ ფორმას. იმისთვის, რომ მონაწილეები ჯგუფებად დაყო, შეგიძლია, ჩამოწერო აქტივიზმის ფორმების სახელები ფურცლებზე და იატაკზე დააფინო. შემდეგ მონაწილეები იმ ფურცელთან დადგებიან, რომელი აქტივიზმის ფორმაც ყველაზე მეტად აინტერესებთ. ამის შემდგომ მონაწილეებს დაურიგე გამზადებული ფურცლები შესავსებად, საინფორმაციო მასალასთან ერთად, რომელიც მათ მიერ არჩეულ აქტივიზმის ფორმას შეეხება. თითოეული ჯგუფი აუდიტორიის ერთ კუთხეში მოთავსდება. ფურცლების ჯგუფურად შესავსებად, დაახლოებით, 30-45 წუთი მიეცი. თითოეული ფურცელი შეიცავს თემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კითხვებს და იძლევა შემოქმედებითი მუშაობის საშუალებას.

4 ამის შემდეგ, ჯგუფები მოკლედ წარმოადგენენ აქტივიზმის ფორმებს შევსებული ფურცლის გამოყენებით. სხვა მონაწილეებს კი შეეძლებათ კითხვების დასმა.

5 დაიწყეთ დისკუსია. სადისკუსიო კითხვები შეიძლება იყოს:

- უმეტესობისთვის აქტივიზმის რომელი ფორმაა ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომი?
- რა სახის აქტივიზმია ჩართვა შედარებით რთული? რატომ? რა წინააღმდეგობები არსებობს? რა შეიძლება გაკეთდეს ამ წინააღმდეგობების აღმოსაფხვრელად?
- აქტივიზმის რომელ ფორმაში წარმოგიდგენიათ თავად მონაწილეობა? რატომ? არსებობს წინააღმდეგობა, რომელიც ამისთვის უნდა გადალახოთ?
- როგორ ფიქრობთ, აქტივიზმის რომელ ფორმას შეუძლია რეალური ცვლილების გამოწვევა?

6 მუშაობა დაასრულე თითოეული ჯგუფის ნაშრომის შეჯამებითა და დისკუსიით. საბოლოოდ, შეგიძლია მიუთითო, თუ მათ გარშემო აქტივიზმში ჩართვის რა კონკრეტული გზები არსებობს.

 **შემოქმედებითი ალტერნატივა**

ჯგუფებს შეუძლიათ გამოგონილი აქტივისტის პორტრეტიც შექმნან: ფურცელზე დახატონ ადამიანი სახე, დაარქვან სახელი, მოიფიქრონ მისი ჩაცმულობა, პროფესია, ჰობი, ცხოვრების წესი და ა. შ. და ამ ადამიანის მხრიდან ახსნან ამა თუ იმ აქტივიზმის არსი.



მოქმედა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ - აქტივიზმი

კლიმატის აქტივიზმის სახე:



რა არის მიზანი?


როგორ ხდება ეს ყველაფერი?

რას აკეთებს ხალხი?

ვის არის ჩართული ამ პროცესში?

ვინ არის ჩართული მსგავსი აქტივიზმის ფორმებში (მოიყვანე მაგალითი შენთვის ცნობილი ადამიანებიდან)?

დახატეთ კლიმატის აქტივიზმის პროცესი:



რა სახის რისკები არსებობს აქტივისტებისთვის?

რა სარგებელი არსებობს აქტივისტებისთვის?

კლიმატის ცვლილების შერბილება - მიმოხილვა

კლიმატის ცვლილების შერბილების ღონისძიებები, შეიძლება, სხვადასხვა დონეზე განხორციელდეს. ამ მეთოდით, შეხვედრის მონაწილეები, კლიმატის ცვლილების შემარბილებელ ღონისძიებებს გაეცნობიან.

🕒 ხანგრძლივობა: 75+ წუთი

👥 ასაკი: 13+ წელი

🛠 მასალა: ფოტოები/პრეზენტაცია, გამზადებული ფურცლები, საინფორმაციო მასალა (ფაქტები, ინტერვიუები, ვიდეოკლიპები - მონაწილეთა ასაკისა და ცოდნის დონის შესაბამისად), კალმები (ან მარკერები).

1 პირველ რიგში, დაუბრუნდი შეხვედრის იმ ნაწილს, რომლის თემაცაა „რა შეგვიძლია გავაკეთოთ კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის?“ შეგიძლია მონაწილეები გამოკითხო, კლიმატის ცვლილების შერბილების რა მეთოდები იციან ან გაუგიათ. ასევე, ერთად იმსჯელოთ: როდესაც ისინი იდეებს დაასახელებენ, შენ შეგიძლია, ეს იდეები ფურცელზე ან დაფაზე ჩამოწერო.

2 აუხსენი, რომ შემდეგი აქტივობით, უფრო მეტს გაიგებენ კლიმატის ცვლილების შერბილების სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. მონაწილეებს წარუდგინე კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებების სხვადასხვა სექტორები: საკვების წარმოება, ელექტროენერჯია, გათბობა, ტრანსპორტი და მოხმარება.

ახლა სთხოვე, დაიყონ ორიდან ოთხწევრიან ჯგუფებად. ამისთვის, შეგიძლია, ჩამოწერო კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებები ან სექტორები ფურცლებზე და იატაკზე დააფინო. შემდეგ მონაწილეები იმ ფურცელთან დადგნენ, რომელი სექტორიც ყველაზე მეტად აინტერესებთ. შესაძლოა, ერთ სექტორზე, რამდენიმე ჯგუფმა იმუშაოს. წინასწარ მოამზადე საკმარისი მასალა.

3 მონაწილეებს დაურიგე გამზადებული ფურცლები შესავსებად, საინფორმაციო მასალასთან ერთად, რომელიც მათ მიერ არჩეული კლიმატის შერბილების ღონისძიებას შეეხება. თითოეული ჯგუფი აუდიტორიის ერთ კუთხეში მოთავსდება. ფურცლების ჯგუფურად შესავსებად, დაახლოებით, 30-45 წუთი მიეცი. თითოეული ფურცელი შეიცავს თემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კითხვებს და, ასევე, იძლევა შემოქმედებითი მუშაობის საშუალებას (ხატვა, დიაგრამის დახატვა).

4 ამის შემდეგ, ჯგუფები მოკლედ წარმოადგენენ შერბილების ღონისძიებებს შევსებული ფურცლის გამოყენებით. სხვა მონაწილეებს შეუძლიათ კითხვების დასმა.

5 **დაიწყეთ დისკუსია. სადისკუსიო კითხვები შეიძლება იყოს:**

- უმეტესობისთვის რომელი შერბილების ღონისძიება ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომი?
- რა სახის ღონისძიება ყველაზე რთულად გასატარებელი? რატომ? რა წინააღმდეგობები არსებობს? რა შეიძლება გაკეთდეს ამ წინააღმდეგობების აღმოსაფხვრელად?

→ რომელ შერბილების ღონისძიებაში წარმოგიდგენია ყოველდღიურად მონაწილეობა? რატომ?

→ როგორ ფიქრობ, რა უნდა გააკეთონ პოლიტიკოსებმა? რა შეგიძლია გააკეთო შენ?

6 მუშაობა დაასრულე თითოეული ჯგუფის ნაშრომის შეჯამებითა და დისკუსიით. საბოლოოდ, მიუთითე, ადგილობრივად რა სახის ღონისძიებების გატარებაა შესაძლებელი.

 **შემოქმედებითი ალტერნატივა**

ჯგუფებს შეუძლია კლიმატის შერბილების ღონისძიებებში ჩართული გამოგონილი ადამიანების პორტრეტებიც დახატონ.

ფურცელზე დახატონ ადამიანის სახე, დაარქვან სახელი, მოიფიქრონ მისი ჩაცმულობა, პროფესია, ჰობი, ცხოვრების წესი და ა. შ. და ამ ადამიანის მხრიდან ახსნან, რას აკეთებს ის კლიმატის ცვლილების შესარბილებლად და რატომ.




გამგადაბული ფურცლის ნიშანი: კლიმატის შერბილება

კლიმატის შერბილების მიმართულების დასახლება:

1 კლიმატის შემარბილებელი ღონისძიების მაგალითი:

როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი?

როგორ გამოიყურება ეს პროცესი?



რატომაა ის კლიმატმეგობრული?


რა სირთულეები არსებობს?

რა სარგებელი მოაქვს?

2 კლიმატის შემარბილებელი ღონისძიების მაგალითი:

როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი?

როგორ გამოიყურება ეს პროცესი?



რატომაა ის კლიმატმეგობრული?

რა სირთულეები არსებობს?

რა სარგებელი მოაქვს?

დამატებითი იდეები / გამოსმაურება:



შექმენით კლიმატინოვაციები

ეს მეთოდი საშუალებას მოგცემს დაგეგმო პრაქტიკული პროექტები (კლიმატის ინოვაციები) და განახორციელო ადგილზე ან ახლო მომავალში, მაგალითად, სკოლაში, ადგილობრივ, ეროვნულ, რეგიონულ ან, თუნდაც, გლობალურ დონეზე კლიმატის ცვლილების საკითხების გადასაჭრელად, სხვადასხვა თემებზე ცნობიერების ამაღლების ან კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მოქმედების დაჩქარების მიზნით.

ჩვენ ტექნოლოგიებისა და ციფრულ ეპოქაში ვცხოვრობთ. შესაბამისად, ამ აქტივობისას მიუთითე მონაწილეებს, რომ იფიქრონ სხვადასხვა სახის კლიმატტექნოლოგიურ ინოვაციებზე. მაგალითად, როგორ შეგვიძლია ტყის მდგრადი მართვა დრონების საშუალებით, როგორ დავეხმაროთ მეღვინეებს ხელოვნური ინტელექტისა და შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით, რათა მეურნეობაზე კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენა აირიდონ, როგორ შეგვიძლია სახლში ენერჯის მოხმარების შემცირება ჭკვიანი ნათურებით ან სხვა ტექნოლოგიებით, რა სახის კლიმატმეგობრული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა შეიძლება გამოვიყენოთ, რათა ვაწარმოოთ მეტი საკვები ნულოვანი ნარჩენებითა და ნაკლები რესურსის გამოყენებით, როგორ ვმართოთ საძოვრები ეფექტურად და მდგრადად და სხვა.

კლიმატის მონაცემების მართვა სათბურის აირების ემისიების გამოსათვლელად სკოლებში, მუნიციპალიტეტებში, ქალაქებსა და ა. შ., და ამ გზით სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და მათი ინიცირება, კლიმატთან დაკავშირებული ნებისმიერი ღონისძიების წარმატების წინაპირობაა.

🕒 ხანგრძლივობა: 75+ წუთი

👥 ასაკი: 13+ წელი

📋 მასალა: გამზადებული ფურცლები, კალმები (ან მარკერები), კლიმატის ინოვაციების ნიმუშების ფოტო ან ბეჭდური მასალა (სურვილისამებრ)

1 პირველ რიგში, მონაწილეებს დავალება გააცანი: იფიქრონ, თუ როგორ შეუძლიათ თავიანთი გარემო უფრო კლიმატმეგობრული გახადონ კლიმატინოვაციების გამოყენებით. მოიყვანე კლიმატინოვაციების რამდენიმე მაგალითი. თუ შეხვედრას სკოლაში ატარებ, მიუთითე, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ სკოლის კაფეტერიიდან ნაკლები ნარჩენი საკვების გადაყრა მოითხოვონ, ან ქალაქისა და პლასტმასის გადამუშავების ინიციატივით გამოვიდნენ. ასევე, შეუძლიათ სკოლის შენობის უკეთ იზოლირება მოითხოვონ, რათა ზამთარში ნაკლები ენერჯია დაიხარჯოს. შესთავაზეთ, ერთად გააშენონ სკოლის ეზოში სკვერი, შექმნან მწვანე სახურავი და ა.შ.

2 შემდეგ, მოიძიეთ სხვადასხვა პრობლემები და შექმენით სამუშაო ჯგუფები ამ პრობლემის გადაჭრის ირგვლივ.

→ ჩამოწერეთ სხვადასხვა აქტივობების ან ყოფითი მაგალითები ფურცლებზე ან ამო-ბეჭდეთ მათი განმასახიერებელი ფოტომასალა. შემდეგ ფოტოები/ფურცლები ოთახის კედლებზე მიაკარით. მონაწილეებს შეუძლიათ მასალა დაათვალიერონ და აირჩიონ ის აქტივობა, რომელიც ყველაზე მეტად დააინტერესებთ. გადაანაწილე ორიდან ოთხწევრიან ჯგუფებად.



- დავალების პირველ ეტაპზე, მონაწილეებმა ერთად იმსჯელონ. ჩამოთვალეთ სხვადასხვა ყოფითი მაგალითი (მაგ. სახლი, სკოლა ან სამსახური, თავისუფალი დრო, საჯარო სივრცე ან ტრანსპორტი, ენერგეტიკა, საკვები, კონსიუმერიზმი*) და იმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რომელი შეიძლება გახდეს უფრო კლიმატმეგობრული, რა არის საჭირო, რომ ადგილობრივ ან ეროვნულ დონეზე ცვლილება განხორციელდეს და ამისთვის რა გადაწყვეტილებები უნდა მივიღოთ. ამის საფუძველზე, მონაწილეები აირჩევენ (მაგალითად, კენჭისყრით/ქულებით), თუ რომელი სფეროები მიაჩნიათ განსაკუთრებით საინტერესოდ და რომლის შეცვლას ისურვებდნენ. შეგიძლია ეს იდეები ფურცლებზე ჩამოწერო და იატაკზე დააფინო. მონაწილეები იმ ფურცელთან დადგნენ, რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებთ და ასე გადანაწილდნენ ორიდან ოთხწევრიან ჯგუფებად.
- ორივე დავალებისას შედგენილი ჯგუფები გააერთიანე. ჯერ ერთად იმსჯელოთ, შემდეგ კი მონაწილეებს კონკრეტული იდეები წარუდგინეთ, ან შეგიძლია, ჯერ აქტივობების იდეები გააცნო, ხოლო შემდეგ მონაწილეებმა იმსჯელონ და საკუთარი იდეებიც წამოაყენონ.


3 ამის შემდეგ, მონაწილეებს ექნებათ შესაძლებლობა, არჩეული თემების გარშემო, ინოვაციური იდეები შეიმუშაონ და დაგეგმონ. გამზადებული ფურცლების ჯგუფურად შესავსებად, დაახლოებით, 45-60 წუთი მიეცი. აღნიშნული ფურცელი შეიცავს თემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კითხვებს, ასევე, შემოქმედებით ნაწილს (მაგალითად, ხატვას, სქემის შედგენას...). საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარე ჯგუფებს.

4 ჯგუფური სამუშაოს დასრულების შემდეგ, თითოეული ჯგუფი მოკლედ წარმოადგენს თავის იდეას. დანარჩენებს შეუძლიათ კითხვები დასვან. იმისთვის, რომ პრეზენტაციები მოკლე და კონკრეტული გამოვიდეს, დააწესე დროის ლიმიტი (მაგალითად, მაქსიმუმ, 3 წუთი). ასევე, წინასწარ განსაზღვრე, რომ მონაწილეებმა მხოლოდ რამდენიმე პუნქტი წარმოადგინონ (მაგალითად, სამი ან ოთხი). თუ ასე გადაწყვეტ, წინასწარ მიუთითე, რომელ პუნქტებზე კონცენტრირდნენ მუშაობისას.

5 ნამუშევრები კედელზე გააკარი და ერთგვარი გალერეა შექმენი. მონაწილეებმა ერთმანეთის ნამუშევრები დაათვალიერონ. ჯგუფის ერთი წევრი ყოველთვის უნდა იდგას ნამუშევართან, რათა მოსალოდნელ კითხვებზე უპასუხოს (ჯგუფის წევრებს შეუძლიათ, ერთმანეთი ჩაანაცვლონ).

შეხვედრის ყველა მონაწილეს უნდა შეეძლოს, საკუთარი კომენტარი ან იდეა, სხვა ჯგუფის ნამუშევრის შესაბამის ველში მიუთითოს („გამომხაურება და სხვა იდეები“).


თუ დრო დაგრძებათ და შეხვედრის მონაწილეებიც დაინტერესდებიან, ზოგიერთ იდეაზე მუშაობის დაწყება და პირველი ნაბიჯების გადადგმა, შეხვედრის დასრულების შემდეგ, ადგილზევე შეგიძლიათ.




გამზადებული ფურცლის ნიმუში: კლიმატინოვაცია

კლიმატინოვაციის სახელწოდება:

რას გულისხმობს (აღწერა):



კლიმატინოვაციის ფოტომასალა:



ნაბიჯების დაგეგმვა:

რა უნდა გაკეთდეს?	როდის?	ვინ არის პასუხისმგებელი?	რა არის საჭირო ამისთვის?

რა კავშირი აქვს კლიმატინოვაციას კლიმატის შერბილებასთან:

კლიმატის ადვოკატირება

კლიმატისთვის სასარგებლო ფართომასშტაბიანი ცვლილებებისთვის, მნიშვნელოვანია შეიცვალოს არსებული კანონები, გამკაცრდეს წესები და კლიმატის შემარბილებელი ღონისძიებების გასატარებლად ინვესტიცია ჩაიდოს. კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ამბიციური, ინკლუზიური და კოორდინირებული ქმედებების განსახორციელებლად, სასიცოცხლოდ აუცილებელია საზოგადოებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ ამ საკითხების აქტიური ადვოკატირება.

პოლიტიკოსებს შესწევთ ძალა ბევრი რამ შეცვალონ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ პოლიტიკოსები და საზოგადოება, კლიმატის შერბილებაზე კარგად იყვნენ ინფორმირებული. პოლიტიკოსები უნდა ხედავდნენ, რომ მოსახლეობა მხარს უჭერს კლიმატის შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებას, რომ კლიმატთან დაკავშირებული საკითხები ჩვენი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია და ამ საკითხების მხარდაჭერა არჩევნებში გარკვეულ უპირატესობასაც მისცემდა.

ეს მეთოდი შეხვედრის მონაწილეებს დაეხმარება, დაგეგმონ, თუ როგორ მიმართავენ პოლიტიკოსებს, როგორ გააცნობენ კლიმატის შემარბილებელ ღონისძიებებს და გაცვლიან ინფორმაციას. იგივე მეთოდი შეიძლება გაკეთდეს კლიმატის სხვა თემატიკაზე.

🕒 ხანგრძლივობა: 90+ წუთი

👥 ასაკი: 13+ წელი

📄 მასალა: გამზადებული ფურცლები, საინფორმაციო მასალა (ფაქტები, ინტერვიუები, ვიდეოკლიპები - მონაწილეთა ასაკისა და ცოდნის დონის შესაბამისად), კალმები (ან მარკერები).

1 ჰკითხე მონაწილეებს, კლიმატის შერბილების რა მეთოდებზე სმენიათ. შეგიძლიათ, ამაზე ერთად იმუშაოთ: ისინი დაასახელებენ შერბილების ზომებს, შენ კი მათ დაფაზე ჩამოწერ.

2 ჰკითხე, როგორ ფიქრობენ, რა კავშირია კლიმატის შერბილების ღონისძიებებსა და პოლიტიკურ პროცესებს შორის. შეგიძლია, მაგალითად მოიყვანო კლიმატთან დაკავშირებული კანონები, რეგულაციები და კლიმატმეგობრული ინვესტიციები, როგორც საქართველოს, ასევე, სხვა ქვეყნების მაგალითებიდან.

3 ამის შემდეგ, შეხვედრის მონაწილეებს საშუალება ექნებათ დაგეგმონ, თუ როგორ მიმართავენ პოლიტიკოსებს კლიმატის ცვლილების საკითხებთან დაკავშირებით. დაურიგე გამზადებული ფურცლები, რომელზეც სხვადასხვა ნაბიჯებია აღწერილი - პოლიტიკოსების შესახებ ინფორმაციის მოძიებიდან დაწყებული, მოთხოვნების მიწოდებითა და მათთვის კითხვების დასმით დამთავრებული. დავალების დაკონკრეტების მიზნით, მონაწილეებს დამატებითი კითხვების დასმისკენ მოუწოდე.

4 ამის შემდგომ, მონაწილეებმა შექმნან ორიდან ოთხწევრიანი ჯგუფები. შეუძლიათ, თავად გადანაწილდნენ, ან შენ დაყავი მარტივი თამაშის ან გადათვლის საშუალებით. დაურიგე გამზადებული ფურცლები და კალმები, სამუშაოდ კი ადგილი თავად აირჩიონ. გამზადებული ფურცლების ჯგუფურად შესავსებად, დაახლოებით, 45-60 წუთი მიეცით. სურვილის შემთხვევაში, ინტერნეტში ინფორმაციის მოსაძიებლად, შეუძლიათ გამოიყენონ კომპიუტერები ან მობილურები. გამზადებული ფურცელი შეიცავს მოცემულ თემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კითხვას და შემოქმედებით ნაწილს (მაგალითად, ხატვას, სქემის შედგენას...). თუ საჭირო გახდება, ჯგუფებს მუშაობაში დაეხმარე.

5 სამუშაოს დასრულების შემდეგ, თითოეული ჯგუფი მოკლედ წარმოადგენს თავის იდეას, დანარჩენები კი დამატებით კითხვებს დაუსვამენ. იმისთვის, რომ პრეზენტაციები მოკლე და კონკრეტული გამოვიდეს, დააწესე დროის ლიმიტი (მაგალითად, მაქსიმუმ 3 წუთი). ასევე, შეგიძლია წინასწარ განსაზღვრო, რომ მონაწილეებმა წარმოადგინონ მხოლოდ რამდენიმე პუნქტი (მაგალითად, სამი ან ოთხი). თუ ასე გადაწყვეტ, წინასწარ მიუთითე, რომელ პუნქტებზე კონცენტრირდნენ ჯგუფური მუშაობისას.

თუ დრო დაგრჩებათ და შეხვედრის მონაწილეებიც დაინტერესდებიან, შეგიძლიათ, ზოგიერთ იდეაზე მუშაობა და პირველი ნაბიჯების გადადგმა შეხვედრის დასრულების შემდეგ, ადგილზევე დაიწყოთ. მაგალითად, დაუკავშირდით პარლამენტის ან საკრებულოს წევრებს, დაწერეთ საჯაროდ გამოსვლის ტექსტი, შეადგინეთ პეტიცია, კიდევ უფრო დახვეწეთ ის მოთხოვნები და კითხვები, რომელიც პოლიტიკოსებს უნდა დაუსვათ, მოძებნეთ პოტენციური პარტნიორი ორგანიზაციები ან ცალკეული პირები და სხვა.




გამგადაბული ფურცლის ნიმუში: კლიმატის ადვოკატირება

პოლიტიკოსი, რომელსაც უნდა დაუკავშირდეთ:

სახელი, გვარი

პოზიცია

საკონტაქტო ინფორმაცია



შესაძლო ღონისძიება/ღონისძიების ფორმატი:

(მაგალითად, ინტერვიუ გაზეთისთვის, კითხვა-პასუხის შინაარსის შეხვედრა ან გამოსვლა ადგილობრივ საჯარო ღონისძიებაზე...)

რას ვგეგმავთ (აღწერა):

ნაბიჯების დაგეგმვა:

რა?	როდის?	ვინ არის პასუხისმგებელი?
<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>
<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>
<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>

ჩვენი კითხვები:

ჩვენი მთავარი გზავნილები:

დამატებითი იდეები/გამოსმაურება:




ოთხი იდეა პრაქტიკული პროექტებისთვის ადგილზე შესასრულებლად

1 ერთად მოამზადეთ კლიმატმეგობრული კერძები

ვეგეტარიანული საუზმე

მოიწყეთ ვეგეტარიანული საუზმე. ინგრედიენტები შეგიძლიათ სახლიდან წამოიღოთ და კერძები ადგილზე, ერთად მოამზადოთ (მაგალითად, სხვადასხვა სახის სენდვიჩი ან ხილის სალათა) ან ყველაფერი მზა მოიტანეთ. ასევე, იზრუნეთ თეფშებსა და დანა-ჩანგალზე. საუზმის მომზადებით, მონაწილეებს აჩვენებ, რომ მცენარეული საკვები გემრიელი და მოსამზადებლადაც მარტივია. სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ ერთად გამოთვალოთ რა რაოდენობის სათბურის აირი გამოიყო ამ საუზმის მოსამზადებლად და რა განსხვავება იქნებოდა რიცხვებში, თუ ძეხვითა და ყველით ისაუზმებდით. ამისთვის არსებობს რამდენიმე ონლაინკალკულატორი (ამ ბმულზე ნახავთ სხვადასხვა კალკულატორს www.earthday.org/foodprints-calculators). ასევე, შეგიძლიათ მოაწყოთ დისკუსია კლიმატმეგობრული, არაცხოველური პროდუქტით კვების შესახებ.



კლიმატმეგობრული პიკნიკი

ერთად მოაწყეთ კლიმატმეგობრული პიკნიკი. წინასწარ დაგეგმეთ, ვინ რომელ კერძს წამოიღებს, ასევე, პიკნიკის ადგილი და დრო. ზოგიერთი კერძისთვის შეგიძლიათ ინგრედიენტები სახლიდან წამოიღოთ და ადგილზე ერთად მოამზადოთ (მაგალითად, სენდვიჩები ან ხილის სალათა). ასევე, იზრუნეთ პლედზე, თეფშებსა და დანა-ჩანგალზე. სურვილის შემთხვევაში, გამოთვალოთ, რა რაოდენობის სათბურის აირი გამოიყო ამ პიკნიკის მოსამზადებლად და რამდენი გამოიყოფოდა შედარებით არაკლიმატმეგობრული პიკნიკის შემთხვევაში. ასევე, შეგიძლიათ მოაწყოთ დისკუსია კლიმატმეგობრული, არაცხოველური პროდუქტით კვების შესახებ.

2 მოაწყეთ ექსკურსია

ველოტური

ერთად დაგეგმეთ ველოტური. ამისთვის დაგჭირდებათ ველოსიპედი, მარშრუტის შედგენა და საბოლოო დანიშნულების ადგილი. ასევე, ყველა მონაწილეს უნდა შეეძლოს ველოსიპედის ტარება. შეგიძლიათ მოინახულოთ ადგილი, სადაც კლიმატის მოქმედებებზე რაიმე ახლის სწავლას შეძლებდით. მაგალითად, ორგანული ბოსტნეულის სათბური, ან ესტუმრეთ კლიმატის ადვოკატირების ორგანიზაციას და გაესაუბრეთ მათ ექსპერტს, მოინახულოთ განახლებადი ენერჯის ელექტროსადგური და სხვა. შეგიძლიათ, ბუნებაში (მაგალითად, ტყეში) უბრალოდ გაისეირნოთ ან ველოტურს მიაბათ კლიმატმეგობრულ პიკნიკი. თადარიგი დაიჭირეთ, ხომ არ გჭირდებათ ექსკურსიისთვის მშობლების ნებართვა.



სეირნობა

ერთად წადით სასეირნოდ. ამისთვის საჭიროა მოსახერხებელი ფეხსაცმელი, დაგეგმილი მარშრუტი და საბოლოო დანიშნულების ადგილი. ყველა მონაწილეს უნდა შეეძლოს, გარკვეული დროის განმავლობაში, ფეხით სიარული. შეგიძლიათ გაისეირნოთ ბუნებაში, სადაც დააკვირდებით და განიხილავთ კლიმატის ცვლილების გავლენას გარემოზე და ერთად იფიქრებთ პრობლემის აღმოფხვრის გზებზე. როგორც ველოტურისას, შეგიძლიათ გაისეირნოთ ისეთ ადგილას, სადაც კლიმატის მოქმედებებზე რაიმე ახლის სწავლასაც შეძლებდით. მაგალითად, ორგანული ბოსტნეულის სათბურში, შეხვდებით და გაესაუბრებით კლიმატის დამცველი ორგანიზაციის ექსპერტს ან მონაბუღებელს განახლებადი ენერჯის ელექტროსადგურს. სეირნობა შეგიძლიათ კლიმატ-მეგობრული პიკნიკით დაასრულოთ.

3 მოაწყვეთ ტანსაცმლის ან წიგნების გაცვლა

იდეა

ტანსაცმლის ან წიგნების გაცვლის მოწყობა სკოლაშიც შეგიძლია. ყველას მოაქვს ისეთი ტანსაცმელი ან წიგნები, რომლებსაც აღარ იყენებს და ერთმანეთში გადაცვლიან.

რატომ?

ტანსაცმლის ან წიგნების წარმოება ბევრ რესურსს მოიხმარს (მაგალითად, ბამბა, ქაღალდი, წყალი) და გამოყოფს ისეთ სათბურის აირებს, როგორცაა CO₂. ტანსაცმლის/წიგნების გაცვლაზე კი მობეზრებული ნივთების ახლით ჩანაცვლება იქნება შესაძლებელი. ასე გარდერობი ახალი ტანსაცმლის ან წიგნების შეძენის გარეშე გამრავალფეროვნდება. გარდა ამისა, დაზოგავთ ფულს, რადგან ტანსაცმლის/წიგნების გაცვლა უფასოა!



ორგანიზებისთვის საჭირო ნაბიჯები

- 1 შეიმუშავეთ კონცეფცია და შეადგინეთ გეგმა. იფიქრეთ შემდეგ საკითხებზე:
 - როდის შეიძლება მოაწყვოთ ტანსაცმლის/წიგნების გაცვლა?
 - სად შეიძლება მოაწყვოთ ტანსაცმლის/წიგნების გაცვლა?
 - ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა ტანსაცმლის/წიგნების გაცვლაში?
 - გჭირდებათ თუ არა ნებართვა ღონისძიებისთვის?
 - რა ტიპის ტანსაცმლის ან წიგნების მოტანა შეიძლება? რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს?
 - როგორ უნდა გამოფინოთ ტანსაცმელი/წიგნები?
 - ყველაზე მეტი რა რაოდენობის ტანსაცმელი/წიგნი შეიძლება მოიტანოს ერთმა ადამიანმა?
 - რა ბედი ეწევა დარჩენილ ტანსაცმელს/წიგნებს?



თუ სკოლის მოსწავლეები ხართ, გადაამოწმეთ სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან ან დამლაგებელთან, შეგიძლიათ თუ არა საკლასო ოთახის გამოყენება იმ დღეს, როდესაც ღონისძიების მოწყობა გსურთ. ღონისძიებისთვის შესაფერისი ადგილებია სააქტო დარბაზი, სკოლის ეზო, კაფეტერია ან საკლასო ოთახები.

② მოაწყვეთ სივრცე ტანსაცმლის/წიგნების გაცვლისთვის. დაგჭირდებათ:

- მაგიდები და თაროები
- ტანსაცმლის საკიდები (თუ ტანსაცმლის გაცვლას აწყობთ)
- ასევე შეგიძლიათ მოაწყოთ სასუნავისა და სასმლის კუთხე და იზრუნოთ მუსიკაზე.

③ ღონისძიების შესახებ ინფორმაცია გაავრცელეთ.

- შექმენით საინფორმაციო პოსტერები და/ან ფლაერები.
- გაავრცელეთ ხმა თანასკოლელებსა და მასწავლებლებს შორის.
- გამოაცხადეთ ღონისძიების შესახებ.

④ დაგეგმეთ ღონისძიება და გადაინაწილეთ დავალებები.

⑤ ჩაატარეთ ტანსაცმლის/წიგნების გაცვლა.

⑥ გაავრცელეთ ინფორმაცია თქვენი ღონისძიების შესახებ.

- დაწერეთ სტატიები ან პოსტები და გადაიღეთ ფოტოები თქვენი სკოლის ვებგვერდისთვის, სასკოლო გაზეთისთვის და სოციალური მედიისთვის (მაგალითად, Instagram-ისთვის).

- შეგიძლიათ ღონისძიებაზე მოიწვიოთ ადგილობრივი პრესა.

4 სოციალური მედიის კამპანია

იდეა

შეხვედრის მონაწილეები ავითარებენ მოთხოვნებს კლიმატის მოქმედებაზე და ქმნიან პლაკატებს, რომლებსაც შემდეგ სოციალურ მედიაში აზიარებენ (მაგალითად, Instagram-ზე).

რა დაგჭირდებათ

ფურცლები, კალმები ან ფანქრები (მაგალითად, პასტელები ან მარკერები), სოციალური მედიის ანგარიში, მობილური ტელეფონები (მინიმუმ ერთი - ფოტოების გადასაღებად) ან ფოტოაპარატი. ასევე, მაკრატელი, მშრალი წებო, ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი სიტყვები, ფოტოები, სიმბოლოები.



ნაბიჯები

- ① მონაწილეებს პროექტის იდეა გააცანი: მათ უნდა განავითარონ სოცმედია კამპანია კლიმატის მოქმედების მოთხოვნით. მოთხოვნების წარდგენის სხვადასხვა შესაძლებლობა არსებობს. ამისთვის შეუძლიათ გამოიყენონ ნახატები, ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი სიტყვები და ფოტოები, ასევე მოიშველიონ სხვა შემოქმედებითი იდეები. შეუძლიათ ერთმანეთსაც გადაუღონ ფოტოები², რომლებსაც თავად ისინი ან შენ, როგორც შეხვედრის ხელმძღვანელი, გამოაქვეყნებ სოციალურ მედიაში (მაგალითად, Instagram-ზე). მონაწილეებს მათი გადაზიარება შეეძლებათ.
- ② მონაწილეები ქმნიან ორიდან ხუთწევრიან ჯგუფებს ან ყველა ერთად, ერთ დიდ კამპანიაზე მუშაობს. შეგიძლია, მაგალითისთვის წინასწარ აჩვენო მსგავსი სოციალური კამპანიის ნიმუშები. შემდგომ მონაწილეებს სამუშაო მასალა გადაეცი. მათ აქვთ 45-დან 60 წუთამდე დრო, რათა მოიფიქრონ მთავარი გზავნილი და კონცეფცია, ასევე დახატონ ან გადაიღონ ფოტოები. საჭიროების შემთხვევაში, დახმარება შესთავაზე. თუ ზოგი მათგანი დათქმულზე ადრე დაასრულებს მუშაობას, შეუძლიათ მეორე გზავნილზე იმუშაონ.
- ③ ამის შემდეგ, მონაწილეებმა საკუთარი ნამუშევრები ერთმანეთს წარუდგინონ.
- ④ ახლა, შეგიძლიათ გზავნილები სოცმედიაში ატვირთოთ და გააზიაროთ.


2 შენიშვნა: თუ იყენებთ ფოტოებს, სადაც მონაწილეთა სახეები ჩანს, შესაძლოა დაგჭირდეთ მშობლების ან მონაწილეების მიერ შევსებული თანხმობის ფორმა. თუ თანხმობა არ გაქვთ, დარწმუნდით, რომ ფოტოებზე მოსწავლეების სახეები არ ჩანს.

ენერჯაიზები

ენერჯაიზები პატარა თამაშები და სავარჯიშოებია, რომლებიც გამოიყენება შეხვედრის დასაწყისში, შესვენებების შემდეგ ან სულაც, შეხვედრის მიმდინარეობისას. როგორ წესი, მათ 5-დან 15 წუთამდე დრო ეთმობა.

არსებობს სხვადასხვა სახის ენერჯაიზები. ზოგი შედარებით სწრაფი და სახალისოა, ზოგი კი მონაწილეთა კონცენტრაციასა და თანამშრომლობას უწყობს ხელს. შეგიძლია თავად გამოიგონო ენერჯაიზები ან ინტერნეტში მოიძიო. აქ აღწერილია რამდენიმე მარტივი ენერჯაიზი.

ზემოქმედების თამაში

 **მიზანი:** კონტაქტი, ჩვენება, როგორ შეუძლია მცირე ცვლილებას დიდი გავლენა მოახდინოს

 **ხანგრძლივობა:** დაახლოებით 10 წუთი

 **მასალა:** არ არის საჭირო




ყველა დგას წრეში.

თითოეული მონაწილე ირჩევს მეორეს, რომლის მოძრაობასაც გაიმეორებს. თუმცა არავინ ამბობს ვინ რომელი აირჩია.


როცა იტყვი „დავიწყეთ“, ყველა ცდილობს, რაც შეიძლება გაუნძრევლად იდგეს, თუმცა ვიღაც შემთხვევით მაინც გააკეთებს ძალიან მცირე მოძრაობას. თითოეულმა მონაწილემ რჩეული ადამიანის მოძრაობა უნდა გაიმეოროს, მაგრამ ისე, რომ ოდნავ გააზვიადოს კიდევ.

თამაში მთავრდება, როცა ყველა დახტის ან იატაკზე გორავს!

ჩაართვი ხელი (High Five)

 **მიზანი:** მოძრაობა, სიცილი, კონტაქტი

 **ხანგრძლივობა:** დაახლოებით 5 წუთი

 **მასალა:** არ არის საჭირო




მონაწილეები მარჯვენა ხელს ზურგს უკან მალავენ. ხელისგული გარეთაა მიმართული.


როდესაც ენერჯაიზი დაიწყება, ყველა ცდილობს მარცხენა ხელი დანარჩენების მარჯვენა ხელს (რომელიც ზურგს უკანაა მოთავსებული) დაჰკრას. ამავე დროს, ყველა ცდილობს მარჯვენა ხელზე შეხება აირიდოს.

ხელების დარტყმის მიუხედავად, არაფერი იცვლება - უბრალოდ, თამაშს აგრძელებენ. არავის არ გამოვარდება. ენერჯაიზი, როგორც წესი, რამდენიმე წუთის შემდეგ თავისთავად მთავრდება.

კლიმატის მოქმედების წრე

 **მიზანი:** მოძრაობა, სიცილი, კონტაქტი

 **ხანგრძლივობა:** დაახლოებით 5 წუთი

 **მასალა:** არ არის საჭირო

თითოეული მონაწილე ირჩევს მეორეს (დასახელების გარეშე).

როცა იტყვი, „დავიწყეთ“, ყველა გარბის და ცდილობს არჩეულ ადამიანს სამჯერ შემოურბინოს. ვინც ამას მოახერხებს, იწყებენ ხტუნვას და გაიძახიან: „კლიმატის მოქმედება, კლიმატის მოქმედება, კლიმატის მოქმედება...“

თამაში მთავრდება, როდესაც უკვე ყველა დახტის და „კლიმატის მოქმედებას“ გაიძახის.

მონაწილეებს შეუძლიათ თავად აირჩიონ სიტყვა ან ფრაზა, რომელიც დაკავშირებულია კლიმატის მოქმედებასთან და რომელსაც ხტუნვისას შესძახებენ.



ჩუმი დირიჟორი

 **მიზანი:** ფოკუსირება, თანამშრომლობა

 **ხანგრძლივობა:** დაახლოებით 10 წუთი

 **მასალა:** არ არის საჭირო

აუხსენი მონაწილეებს, თუ როგორ თამაშობთ ამ ენერჯაიზერს.

იკითხე, ვინმეს ხომ არ უნდა გამომძიებელი იყოს. გამომძიებელი ცოტა ხნით ტოვებს ოთახს.

შემდეგ იკითხე, ვინმეს ხომ არ უნდა ჩუმი დირიჟორი იყოს.

ჩუმი დირიჟორი იწყებს მოძრაობების კეთებას, რომელსაც ყველა დანარჩენი ბაძავს, თანაც რაც შეიძლება სინქრონულად. დირიჟორმა მოძრაობები ხშირად უნდა შეცვალოს. მაგალითად, ხელები ასწიოს და ჩამოუშვას, თავი აქნიოს ან ფეხები აბაკუნოს.

ამის შემდეგ, ოთახში შემოიყვანეთ გამომძიებელი. გამომძიებელმა უნდა გამოიცნოს, თუ ვინ არის დირიჟორი. მიეცით მას ერთიდან სამ ცდამდე, ჯგუფის წევრების რაოდენობიდან გამომდინარე.

თამაში მთავრდება, როდესაც გამომძიებელი გამოიცნობს დირიჟორის ვინაობას (მოგებულია გამომძიებელი) ან თუ მისი ყველა მცდელობა წარუმატებელი იქნება (დირიჟორი/ჯგუფი იგებს). შეგიძლიათ ითამაშოთ რამდენიმე რაუნდი სხვადასხვა გამომძიებელითა და დირიჟორით.



პოლარული დათვები და აისბერგების დნობა

🌀 მიზანი: კონტაქტი, თანაგრძნობის გაღვივება და კლიმატის ცვლილების შედეგების ჩვენება

🕒 ხანგრძლივობა: დაახლოებით 10 წუთი

👤 მასალა: ქაღალდები (ან ძველი გაზეთები)



ეს ენერჯაიზერი თამაშ „მუსიკალური სკამების“ მოდიფიკაციაა.

იატაკზე დააფინე გაზეთის ფურცლები, საკმარისად დიდი იმისთვის, რომ ყველა მოთავსდეს და გარშემოც საკმარისი სივრცე დარჩეს სამოდროდ. გაზეთის ფურცლები აისბერგებია, მონაწილეები კი პოლარული დათვები არიან.

მუსიკა რომ ჩაირთვება, პოლარული დათვები იწყებენ აისბერგების გარშემო ცურვას (სირბილს). როდესაც მუსიკა შეჩერდება, ისინი აისბერგზე უნდა აძვრნენ და იპოვონ ადგილი გასაჩერებლად. ყოველი ტურის შემდეგ, გაზეთის ერთი ფურცელი შუაზე გადაკეცე, შემდეგ კიდევ ერთი ფურცელი გადაკეცე, და ასე შემდეგ. ნელ-ნელა პოლარულ დათვებს ურთულდებათ აისბერგზე ადგილის პოვნა. ისინი ერთმანეთს ეხმარებიან ყინულზე აძრომაში. ვინც ადგილს ვერ იპოვის, თამაშს ტოვებს.

ენერგეტიკული თამაში

🌀 მიზანი: კონტაქტი

🕒 ხანგრძლივობა: დაახლოებით 10 წუთი

👤 მასალა: არ არის საჭირო

შეხვედრის მონაწილეებს აუხსენი, რომ არსებობს სხვადასხვა ტიპის საწვავი, რომელსაც ენერჯის გამოსამუშავებლად ვიყენებთ. ზოგ მათგანს „წიაღისეული საწვავი“ ეწოდება. ესენია ქვანახშირი, ნავთობი და გაზი. ისინი გამოსაყენებლად „ჭუჭყიანია“ და მათი მოხმარებისას გამოყოფილი აირები დედამიწას ათბობს. არსებობს ენერჯის ისეთი წყაროები, რომელიც არ ახდენს მავნე ზემოქმედებას გარემოზე. მათ შორისაა ქარი, ტალღები, მზე და მდინარეები.



შენ დაიძახებ კონკრეტულ სიტყვას და საპასუხოდ ჯგუფმა შესაბამისი მოქმედება უნდა გააკეთოს: ქარი! (ოთახში დარბიხართ), ტალღები! (ოთახის გარშემო „ცურავთ“), მზე! (დგებით დახუჭული თვალებით, თითქოს მზეს ეფიცებოდეთ), მდინარე (მკლავები ატრიალეთ, თითქოს წისქვილი იყოთ). ხანდახან შესძახეთ: „წიაღისეული საწვავი“. ამ დროს ყველა ბურთივით მოკუნტული ჯდება იატაკზე (ვითომ ნახშირის ნატეხები არიან) და ერთხმად გაასუხობენ: „არა, გამაღობ“. თამაში მთავრდება, როდესაც შეამჩნევ, რომ მონაწილეები დაიქანცნენ.

განრიგის ნიშნები

I 2 დღე (4 საათი + 4 საათი)

ფოკუსი:

- 📌 კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზები
- 📌 კლიმატის ცვლილების შედეგები საქართველოში
- 📌 პოლიტიკური ადვოკატირება მუნიციპალურ დონეზე საქართველოში
- 📌 კლიმატმეგობრული სადილი


პირველი დღე

დაწყ.- დამთ. დრო	ხანგრძ- ლივობა	თემა/ნაწილი	მეთოდი/შინაარსი	მასალა	პასუხისმგე- ბელი პირი
9:00 - 9:15	15 წთ.	შესავალი	ერთმანეთის გაცნობა, თემისა და განრიგის წარდგენა	დღის განრიგის პოსტერი	ინსტრუქტო- რი 1 და 2
9:15 - 9:30	15 წთ.	ენერჯაიზერი	„პოლარული დათვები და აისბერგების დნობა“	გაზეთები	ინსტრუქ- ტორი 1
9:30 - 10:00	30 წთ.	კლიმატის ცვლი- ლების გამომწვევი მიზეზები	თემის ახსნა ინტერაქცი- ულად სიმბოლოების საშუალებით	მუყაოს სიმბოლოები	ინსტრუქ- ტორი 2
10:00 - 10:30	30 წთ.	კლიმატის ცვლილების შედეგები	„ინტერვიუ ექსპერტთან“ კლიმატის ცვლილების შედეგები საქართველოში	აუდიოფაილი, ფოტომასალა	ინსტრუქ- ტორი 1
10:30 - 10:45	15 წთ.	შესვენება			
10:45 - 12:00	75 წთ.	კლიმატის ადვოკა- ტირება - ნაწილი 1	თემის წარდგენა და ჯგუფური მუშაობა	გამზადებული ფურცლები, საინფორმაციო მასალა, კალმები (ან მარკერები)	ინსტრუქ- ტორი 2
12:00 - 12:15	15 წთ.	შესვენება			
12:15 - 12:45	30 წთ.	კლიმატის ადვოკა- ტირება - ნაწილი 2	ჯგუფური სამუშაოს პრე- ზენტაცია და უკუკავშირი	წებოვანი ლენ- ტი ან ჭიკარტები	ინსტრუქ- ტორი 1
12:45 - 13:00	15 წთ.	შეჯამება და უკუკავშირი	დღის შეჯამება და უკუკავ- შირი მონაწილეებისგან	დღის განრიგის პოსტერი	ინსტრუქ- ტორი 2

მეორე დღე

დაწყ.- დამთ. დრო	ხანგრძ- ლივობა	თემა/ნაწილი	მეთოდი/შინაარსი	მასალა	პასუხისმგე- ბელი პირი
9:00 - 9:15	15 წთ.	შესავალი	დღის პროგრამის წარდ- გენა და დისკუსია წრეში „როგორ ხართ დღეს?“	დღის განრიგის პოსტერი	ინსტრუქტო- რი 1 და 2
9:15 - 9:30	15 წთ.	ენერჯაიზერი	„ენერგეტიკული თამაში“		ინსტრუქ- ტორი 1
9:30 - 11:00	90 წთ.	კლიმატის ადვოკატირება - პრაქტიკა	კლიმატის ადვოკატირე- ბის პროექტების დაწყება: პოლიტიკოსებთან დაკავშირება, სიტყვით გამოსვლის ტექსტის წერა, პეტიციის შედგენა, პოტენციურ პარტნიორ ორგანიზაციებთან დაკავშირება	შევსებული ფურცლები, ტელეფონი, კალმები (ან მარკერები)	ინსტრუქტო- რი 1 და 2
11:00 - 11:15	15 წთ.	შესვენება			
11:15 - 11:45	30 წთ.	როგორ უნდა განვავრძოთ	დაზუსტება: როგორ განვავრძოთ კლიმატის ადვოკატირების პროექტები	ქაღალდი, კალმები (ან მარკერები)	ინსტრუქტო- რი 2
11:45 - 12:45	60 წთ.	კლიმატმეგობ- რული სადილი	კლიმატმეგობრული სადი- ლის ერთად მომზადება და მიერთმევა	ინგრენდიენტე- ბი, თეფშები და დანა-ჩანგალი	ინსტრუქტო- რი 1
12:45 - 13:00	15 წთ.	შეჯამება და უკუკავშირი	შეხვედრის შეჯამება და უკუკავშირი მონაწილეებისგან	უკუკავშირის ცხრილი, კალმები (ან მარკერები)	ინსტრუქტო- რი 2

შენიშვნები:



II 1 დღე (4 საათი)

ფოკუსი:

- ☑ კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზები
- ☑ კლიმატის ცვლილების შედეგები გლობალურ დონეზე
- ☑ კლიმატინოვაციები

დაწყ.- დამთ. დრო	ხანგრძ- ლივობა	თემა/ნაწილი	მეთოდი/შინაარსი	მასალა	პასუხისმგე- ბელი პირი
9:00 - 9:15	15 წთ.	შესავალი	ერთმანეთის გაცნობა, თემისა და განრიგის წარდგენა	დღის განრიგის პოსტერი	ინსტრუქტო- რი 1 და 2
9:15 - 9:30	15 წთ.	ენერჯაიზერი	„პოლარული დათვები და აისბერგების დნობა“	გაზეთები	ინსტრუქ- ტორი 1
9:30 - 10:00	30 წთ.	კლიმატის ცვლი- ლების გამომწვევი მიზეზები	თემის ახსნა ინტერაქცი- ულად სიმბოლოების საშუალებით	მუყაოს სიმბოლოები	ინსტრუქ- ტორი 2
10:00 -10:30	30 წთ.	კლიმატის ცვლი- ლების შედეგები	ქვიზი კლიმატის ცვლილების შედეგებზე გლობალურ დონეზე	ფოტომასალა	ინსტრუქ- ტორი 1
10:30 - 10:45	15 წთ.	შესვენება			
10:45 - 12:00	75 წთ.	კლიმატინოვაციები - ნაწილი 1	თემის გაცნობა და ჯგუფური მუშაობა	გამზადებული ფურცლები, საინფორმაციო მასალა, ფოტოები, კალმები (ან მარკერები)	ინსტრუქ- ტორი 2
12:00 - 12:15	15 წთ.	შესვენება			
12:15 - 12:45	30 წთ.	კლიმატის ინოვაციები - ნაწილი 2	ჯგუფური სამუშაოს პრეზენტაცია და უკუკავშირი	წებოვანი ლენტი ან ჭიკარტები	ინსტრუქ- ტორი 1
12:45 - 13:00	15 წთ.	შეჯამება და უკუკავშირი	დღის შეჯამება და უკუკავშირი მონაწილეებისგან	დღის განრიგის პოსტერი	ინსტრუქ- ტორი 2

III 5 სესია (თითოეული 90 წუთი)

ფოკუსი:

- 📌 კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზები
- 📌 კლიმატის ცვლილების შედეგები (გლობალურად და საქართველოში)
- 📌 ფიქრები და განცდები კლიმატის ცვლილებაზე
- 📌 კლიმატის ცვლილების შერბილება
- 📌 სოციალური მედიის კამპანია
- 📌 კლიმატმეგობრული საკვები



სესია 1

დაწყ.- დამთ. დრო	ხანგრძ- ლივობა	თემა/ნაწილი	მეთოდი/შინაარსი	მასალა	პასუხისმგე- ბელი პირი
9:00 - 9:10	10 წთ.	შესავალი	ერთმანეთის გაცნობა, თემისა და განრიგის წარდგენა	დღის განრიგის პოსტერი	ინსტრუქტო- რი 1 და 2
9:10 - 9:20	10 წთ.	ენერჯაიზერი	„პოლარული დათვები და აისბერგების დნობა“	გაზეთები	ინსტრუქტო- ტორი 1
9:20 - 9:50	30 წთ.	კლიმატის ცვლი- ლების გამომწვევი მიზეზები	საკითხის ახსნა ინტერაქ- ციულად სიმბოლოების საშუალებით	მუყაოს სიმბოლოები	ინსტრუქტო- ტორი 2
9:50 - 10:20	30 წთ.	კლიმატის ცვლი- ლების შედეგები	ქვიზი კლიმატის ცვლილების ეფექტებზე გლობალურ დონეზე	ფოტომასალა	ინსტრუქტო- ტორი 1
10:20 - 10:30	15 წთ.	შეჯამება და უკუკავშირი	დღის შეჯამება და დის- კუსია - „რა ვისწავლეთ დღეს“	დღის განრიგის პოსტერი	ინსტრუქტო- ტორი 2

სესია 2

დაწყ.- დამთ. დრო	ხანგრძ- ლივობა	თემა/ნაწილი	მეთოდი/შინაარსი	მასალა	პასუხისმგე- ბელი პირი
9:00 - 9:15	15 წთ.	შესავალი და ენერჯაიზერი	დღის პროგრამის წარდგენა და „ჩუმი ღირიჟორი“	დღის განრიგის პოსტერი, ბეიჯები	ინსტრუქტო- რი 1 და 2
9:15 - 9:45	30 წთ.	კლიმატის ცვლი- ლების შედეგები	„ინტერვიუ ექსპერტთან“ კლიმატის ცვლილების ზეგავლენაზე საქართვე- ლოში	აუდიოფაილი, ფოტომასალა	ინსტრუქ- ტორი 1
9:45 - 10:15	30 წთ.	ფიქრები და გრძნობები კლიმა- ტის ცვლილებაზე	დისკუსია ფიქრებსა და განცდებზე კლიმატის ცვლილებაზე	ფურცლები, კალმები (ან მარკერები)	ინსტრუქ- ტორი 2
10:15 - 10:30	15 წთ.	შეჯამება და უკუკავშირი	დღის შეჯამება და დის- კუსია - „რა ვისწავლეთ დღეს“	დღის განრიგის პოსტერი	ინსტრუქ- ტორი 1

სესია 3

დაწყ.- დამთ. დრო	ხანგრძ- ლივობა	თემა/ნაწილი	მეთოდი/შინაარსი	მასალა	პასუხისმგე- ბელი პირი
9:00 - 9:10	10 წთ.	შესავალი და ენერჯაიზერი	დღის პროგრამის წარ- დგენა, და „დაკა ხელი“	დღის განრიგის პოსტერი	ინსტრუქტო- რი 1 და 2
9:10 - 10:00	50 წთ.	კლიმატის აქტი- ვიზმი - ნაწილი 1	თემის ახსნა და ჯგუფური სამუშაო	გამზადებული ფურცლები, საინფორმაციო მასალა, კალმები (ან მარკერები)	ინსტრუქ- ტორი 2
10:00 - 10:20	20 წთ.	კლიმატის აქტი- ვიზმი - ნაწილი 2	ჯგუფური სამუშაოს პრეზენტაცია და უკუკავშირი	წებოვანი ლენტი და ჭიკარტები	ინსტრუქ- ტორი 1
10:20 - 10:30	10 წთ.	შეჯამება და უკუკავშირი	დღის შეჯამება და დის- კუსია - „რა ვისწავლეთ დღეს“	დღის განრიგის პოსტერი	ინსტრუქ- ტორი 2

სესია 4

დაწყ.- დამთ. დრო	ხანგრძ- ლივობა	თემა/ნაწილი	მეთოდი/შინაარსი	მასალა	პასუხისმგე- ბელი პირი
9:00 - 9:10	10 წთ.	შესავალი და ენერჯაიზერი	დღევანდელი პროგრამის წარდგენა და „დაკა ხელი“	დღის განრიგის პოსტერი	ინსტრუქტო- რი 1 და 2
9:10 - 10:20	70 წთ.	სოციალური მედიაკამპანია	სოციალური მედიის კამ- პანიის შექმნა კლიმატის მოქმედების მოთხოვნით პლაკატებით ან პოსტე- ბით, რომლებიც შემდეგ გამოქვეყნდება და გა- ზიარდება სოციალურ ქსელში	სოციალური მე- დიის ანგარიში, მობილური ტელეფონი ან ფოტოაპარატი, ქაღალდი, კალ- მები, მაკრატე- ლი, მშრალი წე- ბო, ამოჭრილი სიტყვები, ფოტომასალა, სიმბოლოები	ინსტრუქტო- რი 2
10:20 - 10:30	10 წთ.	შეჯამება და უკუკავშირი	დღის შეჯამება და დის- კუსია - „რა ვისწავლეთ დღეს“	დღის განრიგის პოსტერი	ინსტრუქტო- რი 1

სესია 5

დაწყ.- დამთ. დრო	ხანგრძ- ლივობა	თემა/ნაწილი	მეთოდი/შინაარსი	მასალა	პასუხისმგე- ბელი პირი
9:00 - 9:15	15 წთ.	შესავალი და ენერჯაიზერი	დღის პროგრამის წარდ- გენა და „ზემოქმედების თამაში“	დღის განრიგის პოსტერი	ინსტრუქტო- რი 1 და 2
9:15 - 10:15	60 წთ.	კლიმატმეგობრუ- ლი წახემსება	მოამზადეთ და წაიხემსეთ კლიმატმეგობრული კერ- ძებით (და დასასრულისას ერთად მიაღაგეთ)	ინგრედიენტები, თეფშები და დანა-ჩანგალი	ინსტრუქტო- რი 1
10:15 - 10:30	15 წთ.	შეჯამება და უკუკავშირი	შეხვედრის შეჯამება და უკუკავშირი მონაწილეე- ბისგან	უკუკავშირის ცხრილი, კალმები (ან მარკერები)	ინსტრუქტო- რი 2

ლექსიკონი

2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის - გაეროს მიერ 2015 წლის სექტემბერში მიღებული რეზოლუცია ადამიანებისთვის, პლანეტისა და კეთილდღეობისთვის. გლობალური განვითარების ახალი ჩარჩო, რომელიც წარმოდგენილია მდგრადი განვითარების 17 მიზანში (UN, 2015).

ადაპტაცია - სოციალურ ან ეკო სისტემებში, კლიმატთან და მის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ შედეგებთან ადაპტაციის პროცესი ზიანის შემცირებისა ან შესაძლებლობების გამოყენების მიზნით (IPCC 1,5 Special Report Glossary).

ჰაერის დაბინძურება - ბუნებრივად ან ადამიანის საქმიანობით, ატმოსფეროში ნივთიერებების (აირები, აეროზოლები) შეყვანის შედეგად გამოწვეული ჰაერის ხარისხის დეგრადაცია, რომელსაც პირდაპირი (პირველადი დამაბინძურებლები) ან არაპირდაპირი (მეორადი დამაბინძურებლები) ნეგატიური ზემოქმედება აქვს ადამიანის ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივ თუ შექმნილ გარემოზე. ჰაერის დაბინძურება განსხვავდება კლიმატის ცვლილებისგან (IPCC 1,5 Special Report Glossary).

ანთროპოგენური - ადამიანის საქმიანობით გამოწვეული ან წარმოებული (IPCC 1,5 Special Report Glossary).

ანთროპოგენური ემისიები - სათბურის აირების, სათბურის აირების წინამორბედებისა და აეროზოლების გაფრქვევა, რაც გამოწვეულია ადამიანის საქმიანობით. ეს მოიცავს წიაღისეული საწვავის წვას, ტყეების ჩეხას, მიწათსარგებლობასა და მიწათსარგებლობის ცვლილებას (LULUC), მეცხოველეობას, სასუქის მოხმარებას, ნარჩენების მართვას და სამრეწველო პროცესებს (IPCC 1,5 Special Report Glossary).

კლიმატის ცვლილება - ცვლილება გლობალური ან რეგიონული კლიმატის მდგომარეობაში. კერძოდ ცვლილება, რომელიც შესამჩნევი გახდა ინდუსტრიული რევოლუციის დაწყებიდან და ძირითადად გამოწვეულია წიაღისეული საწვავის გამოყენების გზით, ატმოსფერული ნახშირორჟანგის დონის ზრდით (IPCC 1,5 Special Report Glossary).

კლიმატნიეტრალურობა - ცნება, რომელიც აღწერს მდგომარეობას, როდესაც ადამიანის საქმიანობას არ აქვს გავლენა კლიმატურ სისტემაზე. ამის მისაღწევად საჭიროა ანთროპოგენური ემისიების დაბალანსება ემისიების (ნახშირორჟანგის) შთანთქმით (გაფრქვევები და მშთანთქმებლების ბალანსი ნულის ტოლი უნდა იყოს), აგრეთვე ადამიანის საქმიანობის რეგიონალური ან ლოკალური ბიო-გეო-ფიზიკური ეფექტების გათვალისწინებით, რომლებიც, მაგალითად, გავლენას ახდენს ზედაპირულ (ციხულის) ალბედოზე ან ადგილობრივ კლიმატზე. აგრეთვე, ნულოვანი CO₂ ემისია (IPCC 1,5 Special Report Glossary).

წიაღისეული საწვავი - ბუნებრივი საწვავი, როგორცაა ქვანახშირი, ნავთობი ან ბუნებრივი აირი, რომელიც გეოლოგიურ წარსულში ცოცხალი ორგანიზმების ნარჩენებისგან წარმოიქმნა (Oxford Languages).

სათბურის ეფექტი - პლანეტის ატმოსფეროს ქვედა შრეში მზის სითბოს დაჭერა სათბურის აირების მიერ (IPCC 1,5 Special Report Glossary).

სათბურის აირი - აირი, რომელიც ხელს უწყობს სათბურის ეფექტს ინფრაწითელი გამოსხივების შთანთქმით. მაგალითად, ნახშირორჟანგი და ქლოროფტორკარბონები (Oxford Languages).

შერბილება (იგივე მიტიგაცია) - კლიმატის ცვლილების კონტექსტში, ადამიანის ჩარევა სათბურის აირების გაფრქვევის წყაროების შესამცირებლად ან მათი შთანთქმის წყაროების გაძლიერების მიზნით. მაგალითად, სამრეწველო პროცესების ან ელექტროენერჯის წარმოების დროს, წიაღისეული საწვავის უფრო ეფექტურად გამოყენება, მზის ან ქარის ენერჯიაზე გადასვლა, შენობების იზოლაციის გაუმჯობესება და ტყეებისა და სხვა შთანთქმელების გაძლიერება ატმოსფეროდან დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგის ამოსაღებად (IPCC 1,5 Special Report Glossary).

ბუნებრივი რესურსი - ბუნებაში არსებული ბუნებრივი კაპიტალი (ნედლეული), რომელიც ეკონომიკური წარმოებისთვის ან მოხმარებისთვის გამოიყენება. არაგანახლებადი, ანუ ამოწურვადი ბუნებრივი რესურსია, მაგალითად, მინერალური რესურსი, რომლის აღდგენა, მისი ექსპლუატაციის შემდეგ, შეუძლებელია. განახლებადი რესურსი კი ეწოდება ბუნებრივ რესურსს, რომელსაც შეუძლია რეგენერირება (OECD Glossary of the Statistical Terms).

ფაქტები: კლიმატის ცვლილების შედეგები გლობალურ და ეროვნულ დონეზე

ფაქტები IPCC ანგარიშებიდან: გლობალური კლიმატის ცვლილების შედეგები

- ცალსახაა, რომ ადამიანის საქმიანობის ზეგავლენამ გაათბო ჰაერი, ოკეანე და მიწა. ცვლილებები მასშტაბურად და სწრაფად ვრცელდება ატმოსფეროში, კრიოსფეროსა და ბიოსფეროში.
- ბოლო 40 წლის განმავლობაში, ყოველი ახალი ათწლეული უფრო თბილი იყო, ვიდრე ნებისმიერი წინამორბედი 1850 წლიდან დღემდე. დედამიწის ზედაპირის ტემპერატურა 21-ე საუკუნის პირველ ორ ათწლეულში (2001-2020 წწ.) 0,99 [0,84-დან 1,10] °C-ით უფრო მაღალი იყო ვიდრე 1850-1900 წლებში. ხოლო 2011-2020 წლებში 1,09 [0,95-დან 1,20]°C-ით მაღალი, ვიდრე 1850-1900 წლებში. ხმელეთზე უფრო დიდი ტემპერატურული მატება შეიმჩნევა.
- ანთროპოგენური სათბურის აირების ემისიების ჯამური ზრდა გრძელდებოდა 2010-2019 წლებში და კვლავ იზრდება. 1850 წლიდან მოყოლებული, ასევე იზრდება CO₂-ის ჯამური ემისიები. 2010 წლიდან, მსოფლიოში ანთროპოგენური სათბურის აირების ემისიების ზრდა ყველა ძირითად სექტორში შეიმჩნეოდა.
- ადამიანის მიერ გამოწვეული კლიმატის ცვლილება უკვე იწვევს ამინდისა და კლიმატის ექსტრემებს მსოფლიოს არაერთ რეგიონში. ფიქსირდება თბური ტალღების, ძლიერი ნალექის, გვალვისა და ტროპიკული ციკლონების მატება, და იკვეთება ამ პროცესზე ადამიანის გავლენა.
- 1900 წლის შემდეგ, მსოფლიოში ზღვის საშუალო დონე უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე ნებისმიერ წინა საუკუნეში - ბოლო 3000 წლის განმავლობაში.



ფაქტები საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინებიდან: კლიმატის ცვლილების შედეგები ეროვნულ დონეზე

- ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა, 1986–2015 წლებში, 1956–1985 წლებთან შედარებით, თითქმის ყველგან მომატებულია 1°C ფარგლებში. საშუალოდ, ქვეყნის ტერიტორიაზე, ნაზარდი 0.5°C შეადგენს.
- ზამთარი გახდა უფრო ნოტიო და ნაკლებად მკაცრი (ძირითადად, ცივი და ყინვიანი დღე-ღამეების რაოდენობის შემცირების გამო), გახშირდა ნოტიო დღეები დასავლეთში და მშრალი დღეები აღმოსავლეთში, რასაც ახლავს გარკვეულ რეგიონებში ძლიერ ქარიანი დღეების გახშირება. გაზაფხული უფრო ნოტიო და თბილი გახდა, ხოლო ზაფხული ყველა ტემპერატურული პარამეტრის მიხედვით, მნიშვნელოვნად დამთბარია. თითქმის მთელ ტერიტორიაზე დათბობა ტემპერატურის საშუალო მახასიათებლებისა და ექსტრემალური ინდექსების აღმავალი ტრენდებით დასტურდება. საქართველოში შემოდგომა გახდა უფრო ნოტიო, წვიმიანი და შესამჩნევად თბილი, ხანგრძლივი მშრალი პერიოდებითა და გახშირებული თბილი დღე-ღამეებით ადრეულ შემოდგომაზე და გახშირებული ძლიერი წვიმებითა და ტენიანობით - გვიან შემოდგომაზე.
- ქარის საშუალო წლიური სიჩქარე, წელიწადის ყველა სეზონზე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მდგრადად, დაახლოებით, 1-2 მ/წმ-ით მცირდება. თუმცა, საშუალო სიჩქარის კლების ფონზე, გარკვეულ რაიონებში შეინიშნება ძლიერ ქარიანი დღეების მატება, რაც უნდა მიეწეროს ბოლო 15 წლის განმავლობაში ასეთი დღეების გახშირებას, რაც ყველაზე ხშირად მტკვრის ხეობაში შეინიშნება (გორი, თბილისი).
- საქართველო მოწყვლადია კლიმატის ცვლილების მიმართ მისი მთიანი ლანდშაფტის, მყინვარების, სანაპირო ზონის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსის, სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობისა და ბიომრავალფეროვნების გამო. საქართველოს ტერიტორიაზე მყინვარების ფართობი და რაოდენობა შემცირებულია და ეს შემცირება უფრო ინტენსიურად ვლინდება აღმოსავლეთ საქართველოში, ვიდრე დასავლეთ საქართველოში.
- ახმეტაში შეინიშნება მიწის დეგრადაცია და გაძლიერებული გვალვები, ძლიერი ქარი, სეტყვა, და წყალდიდობები. ტყიბულში კი ძლიერი ქარი, მეწყერები, მდინარის ნაპირების ეროზია და გვალვები.



